# გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 მაისი, 2010 წელი.

№84 (6450)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.





## კატინი – სიყალბე, დიდი დანაშაული თუ სინამდვილე?

5

## გასაფუჭებელიც კიდევ ბევრია!




## „აგვისტოს ნანგრევებში“

2





ლევან ბერძენიშვილი:

## ნოღაიდელი მაფიოზური ყაიდის მინისტრი იყო

2



3

ირაკლი მელაშვილი:

## თუ რამე მოსახდენია, ეს არჩევნებამდე უნდა მოხდეს

## საქართველოს თბილისი თუ გადაარჩენს

4

## აქტიური პროცესები მაისში

11



8

## ბელადის სამსახურში

### გუშინ



**„პრაიმ-ტაიმის“ სტუდიას გუშინ ლევან ბერძენიშვილი ესტუმრა. ჟურნალისტების კითხვებს რესპუბლიკელი გამოცდილი პოლიტიკოსი ჩვეული საინტერესო და დამაჯერებელი თხრობით პასუხობდა, ამიტომაც პრესკონფერენციამ თითქმის ორი საათი გასტანა. ბერძენიშვილი შეეხო თითქმის ყველა პოლიტიკურად აქტიურ საკითხს, შეეხო გაპოლიტიკებულ ლიტერატურასაც. სკანდალური ახალგაზრდა მწერალი ერეკლე დეისაძე შეაფასა როგორც არამხატვრული ღირებულების უსუსური ავტორი, რომელიც უცენზუროდ წერს, თუმცა ახსნა, რომ სწორედ ეს არის სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიის მონაპოვარი. არ შეიძლება ამის გამო ძალადობა, ხელით შეხება და პიროვნების შეურაცხყოფა, ამისთვის არსებობს პრესის ფურცლები და კრიტიკა, სადაც შეიძლება გაამათრახო ავტორი ისე, როგორც ამას დიდი ილია აკეთებდა.**

# ლევან ბერძენიშვილი: ნოღაიდელი მაფიოზური ყაიდის მინისტრი იყო

## ალიანსი დღევანდელ აქციებს არ შეუერთდება

ახლა კი პოლიტიკაზე... ბერძენიშვილმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ალიანსი რამდენიმე წევრმა დატოვა, მათ შორის კოკა გუნცაძემ და ირაკლი ბათიაშვილმა. რყევები ალინსში არ არის, — განაცხადა მან.

ლევან ბერძენიშვილი ზოგადად წინააღმდეგია პოლიციის დღის დაწესების: „ჩვენთვის ჯერ პოლიციას არ გაუკეთებია ისეთი რამე, რომ გვეზეიმებოდეს. ყველა ხელისუფლება, რომელსაც მე მოვესწარი, რელიგიურ თარიღებს საერო დღესასწაულებს ამთხვევდა. ამაში ახალი არაფერია, თუმცა ამჯერად 6 მაისის პოლიციის დღედ გამოცხადებით სურთ, შარშანდელი მოვლენების ჩაფარცხვა“, — აღნიშნა მან.

რესპონდენტი ვანო მერაბიშვილის პიროვნებასაც შეეხო და სრული ფიასკო უწინასწარმეტყველა: „ბოლო ხანებში ვანო მერაბიშვილი ასპარეზზე გამოვიდა. ეს ნიშნავს, რომ ის საჯარო პოლიტიკაში გააქტიურებას გეგმავს, თუმცა არ არსებობს ამ ქვეყანაზე ისეთი პიარი, რომელიც მის არჩევადობას შესაძლებელს გახდის. ის არ არის ლიდერად დაბადებული, განსხვავებით მიხეილ სააკაშვილისგან, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრის საჯარო პოლიტიკური კარიერა უპერსპექტივოა“.

სამწუხაროდ, ასეთივე უპერსპექტივო აღმოჩნდა პრეზიდენტის ხანგრძლივი, თითქმის ერთთვიანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაზეც ბერძენიშვილმა საკმაოდ ირონიულად ისაუბრა: „პრეზიდენტი სამიტის შემდეგ შვეიცარიისა და ფინეთის პრეზიდენტებს უნდა შეხვედროდა, რაც ვერ მოახერხა. ობამასთან „აუდიენციაც“ მხოლოდ ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლა. ამის შემდეგ ოფიციალური ვიზიტები ამოწურა, თუმცა თავად მივიდა რამდენიმე სადილზე. არ დაიჯეროთ, რომ იქ გამოთვრა, რადგან ამდენ ღვინოს არავინ დაუსხამდა“. ბერძენიშვილის მტკიცებით, სააკაშვილს კოლუმბიის უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია: „როცა ნათელაშვილი ამას ამბობდა, მეგონა, რომ ცრუობდა, მაგრამ მე თავად მომიწია ამ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა. როცა კურსდამთავრებულთა სტენდზე ჩვენი პრეზიდენტი ვერ აღმოვაჩინე, რექტორს ვუსაყვედურე, მან კი მიპასუხა, მიხეილ სააკაშვილს ჩვენი უნივერსიტეტი არ დაუმთავრებიაო“.

პრეზიდენტის ცრუპენტელობა რესპუბლიკური პარტიის წევრს არ გაჰკვირვებია, მაგრამ ნამდვილად უკვირს მათი, ვისაც ოპოზიციონერ ზურაბ ნოღაიდელის რამე სჯერა: „ის მაფიოზური ყაიდის მინისტრი იყო შევარდნაძის დროს და სააკაშვილის დროსაც. მახსოვს, მისი მინისტრობის დროს, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის ხელფასის გასაცემად, როგორ მათხოვარივით ვიდექი ატუზული მისი კაბინეტის კართან. ის დაიმუქრა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკისთვის არც ერთ წიგნს არ შეიძენდა და ასეც მოხდა. ინტელექტუალური ადამიანია, მაგრამ მან არ იცის პოლიტიკა. არ მომწონს დავითაშვილის, ძიძიგურის, კუკავას არჩევანი, ვიზიტები რუსეთში, მაგრამ მათ ხელშეკრულება არავისთან დაუდიათ. ნოღაიდელმა კი პირდაპირ მტრულ ძალასთან გააფორმა კონტრაქტი. მიკვირს მათი, ვისაც ნოღაიდელის ეშინიათ. ის არ არის „ბუა“, რადგან საამისო პოლიტიკური გამჭრიახობა არ გააჩნია“.

ალიანსი არჩევნებისთვის ემზადება. ბერძენიშვილმა თქვა, რომ მოსწონს ირაკლი ალასანიას საარჩევნო მარათონი, სტილი, თუმცა სხვა კანდიდატების კამპანიის შეფასებასაც არ მოერიდა: „ძალიან ეფექტიანი წინასაარჩევნო კამპანია აქვს ნიკა ივანიშვილს, რომლის უკან აშკარად „ვიღაც“ დგას. უგულავას კამპანია მართლაც სერიოზულად არის გააზრებული, მაგრამ მისი პიარის მკეთებელი, ალბათ, არ მოელოდა, თუ ასე „თავით გადაეშვებოდა“ გიგი, ისე ბუნებრივად, თავდაუზოგავად მუშაობს, რომ მისი უნივერსალურობისა უკვე აღარავის სჯერა. ჩვენი კანდიდატის კამპანია დაახლოებით ისეთია, როგორიც თავად არის: გაწონასწორებული და არააგრესიული. მან პროფილი არ შეიცვალა“.

მათ, ვისაც კარგი ბილბორდები აქვთ, ბერძენიშვილის აზრით, ხელისუფლება აფინანსებს, რაც შეეხება ალიანსს, ფული არა აქვს. ნოღაიდელის და არც რუსეთის ფული არ ეტყობა ეროვნულ საბჭოს, მიიჩნევს იგი.

დღეს ოპოზიცია, ხელისუფლების აღლუმის პარალელურად აქცია-მიტინგებს გეგმავს, რასაც ალიანსი არ უერთდება. ეს აქციები ხელს არ შეუწყობს არჩევნებს, ამბობენ ალიანსში, მაგრამ ამ აქციაზე იქნებიან კოკა გუნცაძე და სოზარ სუბარიც. ამ უკანასკნელზეც მოუწია ბერძენიშვილს კომენტარის გაკეთება: „ეს არის კაცი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი და ნდობა აქვს. ჩვენ მემარჯვენეებთან ერთად შევქმენით ალიანსი, რომელსაც ირაკლი ალასანიას გუნდი შემოუერთდა. მაგრამ მერის თანამდებობაზე წარვადგინეთ ირაკლი და სოზარი, და არა ვინმე სხვა ჩვენი პარტიიდან. სოზარი თავიდანვე წინააღმდეგი იყო საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ის დაგვესახელებინა, რადგან ეს ვაკანსია არჩევითი არ არის, ამიტომ წინასწარ ამაზე ლაპარაკი ბუტაფორულია. მას შემდეგ, რაც მან დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეძლო ოპოზიციური საერთო კანდიდატის მიღწევა, ამ თანამდებობაზე პრეტენზიის გაცხადება ზედმეტად მიიჩნია. რაც შეეხება ინგა გრიგოლიას კანდიდატურას, რა გვეჩქარება, ნუთუ ისინი მარტო აპირებენ უმრავლესობის მოპოვებას?! ქრისტიან-დემოკრატების გაოპოზიციონერობის ნაკლებად მჯერა“, — აღნიშნა მან.

**ლევან ბერძენიშვილის პასუხებიდან გამომდინარე, იმის თქმა, რომ არჩევნებამდე ერთიანი კანდიდატის შეთანხმებაზე ფიქრი კიდევ შეიძლება, ნაკლებად სავარაუდოა. მაგრამ ასე გადაჭრით, ალბათ, არც ამის თქმა შეიძლება. მით უფრო, რომ როგორც მან ჟურნალისტები დაგვმოძღვრა, პოლიტიკაში მუდმივი მტრები ან მუდმივი მოყვრები არ არსებობენ! რა ვიცით, რა მოხდება?!**

**თეა მოსია**

### დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

# „აგვისტოს ნანგრევებში“



**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებულ დარბაზში ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველომ“ და ქართულმა უფლებამოსილმა ორგანიზაციებმა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია გამართეს. აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშის ვერსიას 2010 წლის 2 თებერვალს ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი ლუის მორენო — ოკამპო და მისი გუნდი გაეცნენ და დოკუმენტი ოფიციალურად მიიღეს.**

ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით, ანგარიშზე ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, კავშირი „XXI საუკუნე“ და კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი.

ანგარიშზე მუშაობისას გააანალიზეს 2008 წლის კონფლიქტის ამსახველი მასალა. არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეგროვდა 1055 დევნილის ჩვენება, რომელიც დამუშავდა, როგორც სტატისტიკურად, ისე ფაქტების დაპირისპირების მეთოდოლოგიით. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში ძირითადდ დევნილთა მონათხრობს ეფუძნება და შესაძლებლობას იძლევა, მთელ მსოფლიოს გავაცნოთ საქართველოს ტერიტორიაზე მასობრივად ჩადენილი სასტიკი და არაჰუმანური ქმედებები. არასამთავრობო ორგანიზაციების მოპოვებული მასალა საკმარისი მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორი ფართომასშტაბიანი და სისტემატური ხასიათის იყო სოფლებზე განხორციელებული იერიში. რუსული ავიაციის მიერ საცხოვრებელი სახლების, ბაღების, სკოლების, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვა, ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ სახლების დაწვა და სხვა. სწორედ რომ ეთნიკური წმენდის ნათელი მაგალითია. ფაქტები ადასტურებს, რომ დაბომბვები, რომელსაც არაერთი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, დისკრიმინაციულ და არაპროპორციულ ხასიათს ატარებდა. ანგარიშის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ფონდის დირექტორი **ქეთი ხუციშვილი,** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან **გიორგი ჩხეიძე,** ადამიანის უფლებათა ცენტრიდან **უჩა ნანუაშვილი,** კონსტიტუციის 42-ე მუხლი — **მანანა კობახიძე** და სხვები. ქეთი ხუციშვილის განცხადებით ანგარიშს არც აქვს და ვერც ექნება აგვისტოს ომის შედეგების სრულფასოვანი გამოძიების პრეტენზია, თუმცა მასში ასახული დევნილთა ტრაგიკული ისტორიები, ფაქტები და დოკუმენტური მასალა მტკიცებულებაა საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სისასტიკისა.

**ქეთი ხუციშვილი:** „ანგარიშის მთავარი ღირებულება ის არის, რომ ნაშრომი ქართული უფლებადამცველი ორგანიზაციების სწრაფი მოქმედების შედეგია. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტში მონაწილე ორგანიზაციები დაახლოებით 100-მდე ომის მსხვერპლის ინტერესების დაცვას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაგრძობენ. სინანულით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომი მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და შიდა ქართლის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს შეეხება და არ ფარავს აგვისტოს ომის კოდორის ხეობის მოვლენებს ინფორმაციის სიმწირის გამო. ამასთანავე, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი იყო ოსური მხარის ხელთ არსებული ინფორმაცია“.

ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ ანგარიშის მუშაობაში მონაწილეობენ, ერთიანდებიან საქართველოს კოალიციაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის. კოალიციის მიზნებია, მოახდინოს იმ დანაშაულების დოკუმენტირება, რომლებიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციაში ხვდება. კოალიციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ისეთი სერიოზული დანაშაულობები, როგორიცაა — გენოციდი, ომი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, დაუშვებელია, დაუსჯელი დარჩეს.

ანგარიშის პრეზენტაციაზე ისიც ითქვა, რომ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ეთნიკური წმენდა იყო კარგად ორგანიზებული და სისტემური ხასიათის ოპერაცია. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ თუ დანაშაული ჩადენილია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. საერთაშორისო სამართლის თანახმად უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, თუ რა სიდიადის ან გავლენისაა სახელმწიფო, ან რამდენ ხანს გრძელდებოდა ომი. ანგარიშის წარდგენისას ასევე მოეწყო წიგნისა და დივიდი დისკის პრეზენტაცია სახელწოდებით „აგვისტოს ნანგრევებში“. წიგნი თარგმნილია ინგლისურ ენაზეც.



**ხატია მუსერიძე**

ექსპერტი

# „კონსტიტუცია განწირულია ცვლილებებისთვის“



## გვესაუბრება ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატი ლევან ალეიშვილი

**— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 25 დღე დარჩა. საარჩევნო კოდექსში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. ქვეყანაში დაწყებულია წინასაარჩევნო სარეკლამო კამპანია... რამდენად სამართლიანად მიმდინარეობს, თქვენი შეფასებით, წინასაარჩევნო პროცესი და რას უნდა ველოდოთ 30 მაისის არჩევნებისგან?**

— კარგია, რომ ქვეყანაში სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს, თუმცა ხშირად რეკლამას მისტიკური ხასიათი აქვს და ის მიზნად ისახავს გაგვაგებინოს, რომ კაცი უთავოდ უფრო შორს წავა, ვიდრე ურეკლამოდ. ვინც ჩვენს პოლიტიკაში არ იცის, რა არის საქართველო, არც თავისი ადგილი იცის ამ ქვეყანაში და არც ის, რას წარმოადგენს თვითონ და რას — ჩვენი საზოგადოება. ქვეყანაში კანონები როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს უნდა მოქმედებდეს და თუ ომი რეალურად არ მიმდინარეობს, ეს არ ნიშნავს, რომ არის მშვიდობა, რომელიც სამართალზე დაფუძნებული წესრიგია. ჩვენ გვიჭირს იმის გაგება, რომ მხოლოდ კანონს და სამართლიანობას შეუძლია, მომავალი განვითარების პერსპექტივა მოგვცეს. თუ გვსურს, შეცდომები არ დავუშვათ და, მაკიაველის არ იყოს, ვიცოდეთ, რა მოხდება მომავალში, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რაც წარსულში მომხდარა. ბუნებრივია, პოლიტიკური პროგრესის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში ყოველგვარი წინსვლა, რომელიც აუცილებლობა უნდა იყოს და არა შემთხვევითობა, ხოლო მთავარი პროგრესი სინდისის გამახვილებაა. ამიტომაც აუცილებელია, ჩვენს უახლეს ისტორიაში ყოველგვარი თამაშის გარეშე, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, რაც ჩვენი საზოგადოების მთავარ დაკვეთას წარმოადგენს. თვითმმართველობის და განსაკუთრებით შემდგომმა საპარლამენტო არჩევნებმა უნდა განსაზღვროს მომავალი საბაზო პრინციპები სახელმწიფოს განვითარებისა და დაარეგულიროს ჩვენი ობიექტური უფლებები, მათ შორის — უფლება, აირჩიო და თავად იყო არჩეული, რაც ქვეყანაში ცვლილებების არჩევნების გზით განხორციელების უალტერნატივობის რწმენას შექმნის.

**— ცვლილებები და კანონის პატივისცემა ახსენეთ. ვიცით, რომ მზადდება კონსტიტუციური ცვლილებები... საერთოდ, რა ცვლილებები სჭირდება, თქვენი აზრით, ქვეყანას?**

— პირველ რიგში, თავი უნდა დავანებოთ ერთმანეთთან, საკუთარ თავთან და სამშობლოსთან ომს და შემდგომ გავაკეთოთ ის, რაც ქვეყანას სჭირდება, ხოლო ქვეყანას და საზოგადოებას სჭირდება თავისუფალი მრავალპოლუსიანი მედია, კონკურენტული გარემო და ეკონომიკური განვითარება, რწმენა მომავალი სამართლიანი არჩევნების და სამართლიანი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მქონე სასამართლო სისტემა. რასაკვირველია, აუცილებელია ცვლილებები კონსტიტუციაშიც, რომელიც სახელმწიფოს ორგანიზაციას, ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას უზრუნველყოფს. კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია დემოკრატიისა, რომელიც საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე წარმოიშვა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში კონსტიტუცია და კანონები ხშირად ფორმალურად მოქმედებს, თუნდაც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. ამიტომ რეფორმების დროს უნდა გადავდგათ ნაბიჯები სამართლებრივი სისტემის აქტუალიზაციისათვის, რათა მიღებული კანონების თუ კონსტიტუციის რეალური ამოქმედება უზრუნველვყოთ.

**— გარდა სასამართლო სისტემის ცვლილებებისა, რომელზეც ჩვენ წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ, რა ცვლილებები მიგაჩნიათ აუცილებლად?**




— პირველ რიგში უნდა გავიგოთ სახელმწიფო მმართველობის რომელი ფორმა გვინდა და რომელია მისაღები ჩვენთვის: საპრეზიდენტო, რომელსაც კლასიკური გაგებით ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს, საპარლამენტო, რომელიც დანერგილია იტალიაში, ისრაელში, გერმანიაში, საბერძნეთში, თურქეთში, შერეული, ანუ საპრეზიდენტოს და საპარლამენტოს შერწყმული მოდელი, როგორიცაა საფრანგეთში, პორტუგალიაში, ლიტვაში, უკრაინაში, სლოვაკეთში და რუსეთში, თუ მონარქია სხვადასხვა ფორმით, კონსტიტუციური თუ აბსოლუტური სახით, რომელიც დიდ ბრიტანეთთან ასოცირდება, თუმცა მსოფლიოს 45 ქვეყანაშიც ფუნქციონირებს. მთავარია, განვსაზღვროთ, სახელმწიფო მოწყობის როგორი ფორმა გვინდა და შესაძლებელია, გვქონდეს დღევანდელი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე — პოლიტიკური ერთიანობით, ერთიანი კონსტიტუციით, უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემით და სახელმწიფო ძალაუფლებით, სადაც ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ბოლომდე ემორჩილებიან ცენტრს, თუ ფედერაციული, ანუ მოკავშირე სახელმწიფოთა კავშირი, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებლობის და არა სუვერენიტეტის ნიშნები? სხვა შემთხვევაში, თუ ამ თემაზე მსჯელობა არ დაიწყო და თუ არ ჩამოვყალიბდით, მომავალში კონსტიტუცია განწირული იქნება შემდგომი ცვლილებებისთვის.

**— ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატში წარდგენილ და გაზიარებულ იქნა თქვენს მიერ მომზადებული არაერთი კანონპროექტი, მათ შორის — სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში გასათვალისწინებელი რეკომენდაციების პაკეტი. მომზადებული გაქვთ კიდევ რამდენიმე პროექტი ბატონ თორთლაძესთან ერთად, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია. თუ შეიძლება, უფრო დეტალურად გვიამბეთ მათ შესახებ...**

— 2009 წლის თებერვალში პარლამენტში კანონპროექტი წარვადგინეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელება და პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვრის 12-დან 14 წლამდე შეცვლა, ასევე დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნისას შეკრების პრინციპის გადახედვის მოთხოვნა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პირობების შეცვლა. არაერთი პრესკონფერენცია პარლამენტში და საგაზეთო პუბლიკაცია მივუძღვენით ამ თემებს და მადლობის მეტი რა გვეთქმის?! - მთავრობამ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო პაკეტი მოამზადა, რის საფუძველზეც ცვლილებები განხორციელდა. ამჟამად ჩვენი რეკომენდაციების სახით გაზიარებას ელის ისეთი საკითხები, როგორიცაა პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძვლების გადახედვა, საჯარიმო სანქციების შემცირება, ნარკოტიკების მომხმარებლებისა და მწარმოებელ-რეალიზატორების გამიჯვნა, სიტყვის თავისუფლების და არჩევნების გაყალბებისათვის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის 15 წლამდე გაზრდა. მაისში ახალ კანონპროექტს შევიტანთ პარლამენტში, რომელიც პირობითი სასჯელების დადგენის პრინციპების გადახედვას და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებს შეეხება. ასევე მაისში პარლამენტში წარდგენილი იქნება იარაღის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტში ახლებურად არის დარეგულირებული იარაღის და საბრძოლო მასალის შეძენის პირობები, ლიცენზიის გაუცემლობისა და გაუქმების წესები. ამასთან, კანონპროექტი რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს, კერძოდ, 21 წლის ასაკის მიღწევამდე მოქალაქეებზე იარაღის შეძენის ნებართვების და ლიცენზიების გაცემას კრძალავს, ასევე ახლებურად არეგულირებს იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს.

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

ვარაუდი

# „თუ რამე მოსახდენია, ეს არჩევნებამდე უნდა მოხდეს“



*ოპოზიცია ხელისუფლებას შიდა პოლიტიკური ვითარების დაძაბვისთანავე ყოველთვის კომპრომატებით მანიპულირებაში ადანაშაულებს. მათი შეფასებით, ასე მოხდა 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როცა რუსეთის აგენტურასა და პატარკაციშვილზე მომზადებული ფილმების სერია გამოქვეყნდა. შარშანდელი 9 აპრილის მოვლენების წინ კი, შეიარაღებული ამბოხების თემა წამოწია.*

*ამას ემატება ისიც, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ქვეყნიდან პრეზიდენტის ამდენი ხნით წასვლამ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მისი ვიზიტის გახანგრძლივების მიზეზებზე რამდენიმე ვერსიაც კი გავრცელდა.*

*საინფორმაციო ომის თვალსაზრისით წინასაარჩევნოდ რას ელის ოპოზიცია და როგორ ხსნის პრეზიდენტის ხანგრძლივ ვიზიტს? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ოპოზიციური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი მელაშვილს ესაუბრა.*

**— ბატონო ირაკლი, ოპოზიცია ხშირად მიუთითებს ხოლმე, რომ მნიშვნელოვან მომენტებში, როდესაც საქმე მმართველი გუნდის რეიტინგს ეხება, ხელისუფლება ყოველთვის მიმართავს კომპრომატების ომს. თქვენი აზრით, რას შეიძლება ველოდოთ 30 მაისისთვის?**

— არა მგონია, 30 მაისის არჩევნებისთვის ხელისუფლებას მსგავსი რამ დასჭირდეს, რადგან მათ გამარჯვებას წინ არაფერი უდგას. არჩევნები უკვე იმდენად არის გაყალბებული, რომ არანაირი კომპრომატები საჭირო აღარაა.

სხვა დროს გამოქვეყნებული მასალები რამდენად იყო კომპრომატები, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

**— დიდი ხანი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში არ იმყოფებოდა, თქვენი აზრით ასეთი ხანგრძლივი ვიზიტით სააკაშვილს ხომ არ სურს იმის ხაზგასმა, რომ ის არ ერევა წინასაარჩევნო პროცესებში?**

— პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტთან წინასაარჩევნო პერიოდს არაფერი აქვს საერთო. მას უბრალოდ არ მოსწონს საკუთარ ქვეყანაში ყოფნა. დააკვირდით, როცა სადმე მიდის, როგორ გახარებული სახით არბის ხოლმე თვითმფრინავში, ხოლო როცა ჩამოდის, როგორი მძიმე ნაბიჯებით მოაბიჯებს ტრაპზე. სახეზე აწერია, რომ ამ ქვეყანაში ყოფნა არ უნდა. სააკაშვილისთვის პრეზიდენტობა არის აქეთ-იქით სირბილი.

**— ბოლო დროს გამოქვეყნებულ სკანდალური სატელეფონო ჩანაწერების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრებები, რომ პრეზიდენტს თავისივე გუნდიდან გარკვეული საფრთხე ემუქრება და ამიტომ ვერ ბრუნდება საქართველოში. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ასეთი ვერსია?**

— ასეთ ვერსიებს თვითონ ხელისუფლება შეგნებულად ავრცელებს, რათა საზოგადოებას შეუქმნას იმის იმედი, რომ პრეზიდენტის გასაშვებად აქტიურობა საზოგადოებას კი არ დასჭირდება, არამედ თვითონ ხელისუფლების შიგნით მოხდება რაღაც ისეთი და ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. გიგი უგულავას კანდიდატურაზეც ვრცელდებოდა მსგავსი ტიპის ვერსიები, თითქოს ამ საკითხზე დაპირისპირება იყო და სხვისი კანდიდატურის დასახელებას გეგმავდნენ. ეს არის წინასწარ გათვლილი და მსგავსი ტიპის ინფორმაციას შეგნებულად ავრცელებენ.

**— ოპოზიციის ერთი ნაწილი აქტიურად საუბრობს არჩევნების შემდგომ „ჭექა-ქუხილზე“. თუ საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, რამდენად გამართლებული იქნება სიტუაციის დაძაბვა, მით უმეტეს, რომ ამ ამბოხზე უფრო ე. წ. პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები მიუთითებენ?**

— საერთაშორისო ორგანიზაციები ამ არჩევნებსაც ისე გამოაცხადებენ დემოკრატიულად, როგორც გამოაცხადეს წინა არჩევნები. ეს, პირველ რიგში, იქნება ხელისუფლების დამსახურება, მაგრამ არანაკლები დამსახურება ოპოზიციისა, რადგან ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება უკვე ნიშნავს იმას, რომ წინასწარ გაყალბებულ არჩევნებს აკანონებ. როდესაც იცი, რომ არჩევნები წინასწარ გაყალბებულია, შენ ძალაუნებურად ამ პროცესის ხელშემწყობი ხდები.

**— 30 მაისის შემდეგ, სახელისუფლებო გუნდის გამარჯვების შემთხვევაში, ოპოზიციის მოწოდებაზე ხალხი ქუჩაში გამოვა თუ არა?**

— არ გამოვა. თვითმმართველობის არჩევნები ვერ გადაიქცევა მწვავე საპროტესტო ტალღის აგორების მიზეზად.

**— ანუ ბიშკეკის სცენარის გამეორების საშიშროება არ არსებობს?**

— ბიშკეკის სცენარის გამეორების საშიშროება არ არსებობს. თუ რამე მოსახდენია, მაშინ ეს უნდა მოხდეს არჩევნებამდე. 30 მაისის შემდეგ არაფერი აღარ მოხდება.

## ოჰ, ეს არჩევნები!

# საქართველოს თბილისი თუ გადაარჩენს

***თბილისი** ყოველთვის იყო საქართველოს მოშლილი კუჭიო, უბრძანებია ერთხელაც ქართული სიტყვის დიდოსტატს, ერის მოჭირნახულე კონსტანტინე გამსახურდიას. ახლა რომ წამოახედა, არ ვიცი რას იტყოდა, მაგრამ დღეს თბილისია სრულიად საქართველო. დანარჩენი ქალაქებიდან, რაიონებიდან, სოფლებიდან ვინც უცხოეთში ვერ გააღწია, დედაქალაქში მოიყარა თავი. ქვეყნის ტერიტორიების მესამედი ხომ დაგვიკარგა ჩვენმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ, მთა და ბარიც დააცარიელეს, მაგრამ მათთვის რაც მთავარია, ამომრჩეველი ისევ იმდენი ჰყავთ, რაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იყო.*

დღეს მთლიანად საქართველოა მოშლილი კუჭი, მაგრამ რა აზრი აქვს იმაზე წუხილს, რომ მილიონამდე გენეტიკურად ჯანმრთელი ადამიანია გასული, რომ შობადობას სიკვდილიანობამ გაასწრო. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა პერიფერიებში, ამომრჩეველი თითქმის იმდენი ჰყავთ, რაც 1989 წლის აღწერის დროს აღინუსხა, ასეა რუსთავშიც და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ყველა სხვა ქალაქსა თუ რაიონში. აქაც და იქაც, ქვემო თუ შიდა ქართლში, კახეთსა თუ იმერეთში, გურიასა თუ სამეგრელოში არჩევნებს საკუთარ მუშტებზე მიდარაჯებული გუბერნატორები ხელმძღვანელობენ. წინ რა დაუდგებათ. მით უმეტეს, რუსთავში ოპოზიციური პარტიების ჭაჭანება არ არის. ნაცები კი, იცოცხლე, ნებისმიერ კაცს მოისყიდიან და გაანაციონალებენ. არჩევნებისას ოპოზიციური პარტიებიც ხომ უნდა ირიცხებოდეს, ფორმალურად მაინც, არჩევანი ერთპარტიული რომ არ გამოვიდეს. ჰოდა, ზოგ-ზოგები „გადაღებეს“ კიდევაც, ვითომ ოპოზიციად. უნებლიეთ ერთი წვერებიანი ანეკდოტი მახსენდება: ბაზარში გურული ერთ გაქუცულ გოჭს ყიდდა და მთავრობის კაცს სთავაზობდა, აირჩიეთ ბატონოო. ეგ ერთია და რა ავირჩიოო, თვალები წარბზე აუვიდა თურმე მყიდველს, არჩევნებზე თქვენც ასე არ იცით ბატონოო, სიტყვა მოუჭრა გურულმა. ეს უალტერნატივო რეალობაა საქართველოს პერიფერიებში, სადაც ამომრჩეველი და ასარჩევი ასე თუ ისე ცოტა შემორჩა. ჰოდა, თუ ჩვენს ერს გადარჩენა უწერია, დღეს ეს მისია თბილისმა უნდა იკისროს. გაუყალბებელ და გამჭვირვალე არჩევნებს დედაქალაქში უნდა მივაღწიოთ. სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიების ლიდერები ერთ შეუვალ ძალად მაინც ვერ შეიკრნენ, რაც ნაციონალების წისქვილზე უშვებს წყალს. უფრო მეტიც, ოპოზიციური პარტიებიდან ზოგნი არჩევნებისკენ მოუწოდებენ ხალხს, სხვები ბოიკოტისკენ, რაც ისევ იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც სხედან. არადა, ბოიკოტის გამოცხადება რომ სიბრიყვეა, ყველაზე უბირმაც კი იცის. ნაციონალებმა წინასაარჩევნოდ ხომ რამდენიმე ოპოზიციური პარტია ერთდროულად გამოაცხვეს. მიდი და არჩიე ახლა, ვინაა ნამდვილი ოპოზიცია და ვინ პოზიციის სატელიტური დანამატი. ერთ დროს „პადოშაც“ კი იყო მწარე ოპოზიციონერი, სამასათასიან მიტინგებსაც კი უძღვებოდა, ახლა ხომ ჰყავთ ნაციონალებს პადოშივით ამოკრული? ჩვენ ვართ, ვინცა ვართოო, გაიძახიან ლეიბორისტები. თან მიშა საპაპაშვილივით დააპორწიალებენ თავიანთ ტრიბუნას, დადგამენ ხან სად, ხან სად, მკერდზე მჯიღს იბრაგუნებენ, ემუქრებიან ხელისუფლებას, არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ, საბოლოოდ რის გაკეთებას აპირებენ, კაცმა არ იცის. ქრისტიან-დემოკრატები ხომ ლამის ყველაფერს უფასოდ ჰპირდებიან თბილისელებს. ისე, ნეტავ თუ ახსოვთ წინა არჩევნებში 150 ათასი კაცის დასაქმებას რომ გვპირდებოდნენ, სასმელი წყლის ბიზნესს რომ გამართავდნენ, არც ერთ კუთხეში უმუშევარი არ გვეყოლებაო. რატომ დაივიწყეს ეს დაპირებები.

მრეწველობა გადაარჩენს ქვეყანასო, მრეწველები თავიდან ამ დევიზით მოდიოდნენ. ახლა გაახსენდათ, საქმეს გავაკეთებთო, ამასობაში ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა. ჭანჭიკი რომ ჭანჭიკია, ისიც უცხოეთიდან შემოგვაქვს, საპონი და კბილის პასტაც კი. ისე, კბილის პასტის გახსენებაზე, თავის დროზე ჩვენთან ნუგელას პასტას ამზადებდნენ, მიმზიდველად შეფუთული არ იყო თორემ, მას რომ სამკურნალო თვისებები გააჩნდა, ბევრი ბრენდი ნუ დაიკვეხნის.

ძიძიგური-დავითაშვილი-ნოლაიდელის ალიანსი ერთ რამეში კი იყო მართალი, კი მოინდომეს ალასანიასთან გაერთიანება, მაგრამ მემარჯვენეებმა და რესპუბლიკელებმა ქოში უკულმა ყარეს. ხალხი ნამდვილად იყო მოწადინე ამ გაერთიანებისა და იმდენი ჭკუა-გონება აღარ დარჩათ ჩვენს პოლიტიკოსებს, ხალხის ხმა გადამწყვეტია და მით უფრო პოლიტიკურ ბრძოლაში.

ალბათ გახსოვთ, ქრისტიან-დემოკრატები თავის დროზე 150 ათას სამუშაო ადგილს გვპირდებოდნენ, სადაც მივიდოდნენ, ყველგან სასმელი წყლის ჩამოსასხმელი მინი-ფაბრიკის გახსნას აპირებდნენ. ამომრჩეველს დიდი ბიზნესის გაჩალებით აბრუებდნენ. სასმელი წყლის ბიზნესი მართლაც რეალურია, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატების ხელში ის უკვალოდ აორთქლდა. ნაციონალები კი პრინციპულად არ ფიქრობენ მოსახლეობის სამუშაო ადგილების შექმნაზე. პირიქით, არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს ბოლომდე ანადგურებენ. სოფლის მეურნეობა ხომ გაჩანაგებულია, მწვანილი რომ მწვანილია, იმასაც ცეცხლის ფასი აქვს. საქართველოში 2 თავი ნიორი რომ ლარი ღირს, ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს?

სამწუხაროდ, ამომრჩეველი დაბნეულია, ვერ გაუგია, ვინ ვინ არის. პარტიები კი თავის მხრივ, იმსახურებს თუ არა, თავს გაართმევს თუ ვერა, ამომრჩევლის გულწრფელ ხმას სათავისოდ ეწიკება, ყველა ცხვრის ქურქშია გამოწკიპული და წინასაარჩევნო დაპირებებს უხვად აფრქვევს, მაგრამ რას მოგვიტანს ხვალე, ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ერთი სიტყვით ასე თუ ისე, საქართველოს ბედი დღეს თბილისში წყდება, თბილისმა უნდა იტვირთოს ერის გადარჩენის მძიმე მისია.

**გივი ჯახუა**

*P. S. 30 მაისს პარლამენტის წინ ხალხმრავლობა იყო, თუმცა, ვაღიარებ, წესით უფრო მეტიც უნდა ყოფილიყო, განწყობილებაც საბრძოლო და შემართებული ჰქონდათ. თბილისელ მომიტინგეებს მოსწონთ, როცა მოქმედებენ, გამზირიც ხალისიანად გადაკეტეს და თავისუფლების მოედანიც, იმ პარტიების ლიდერებზე განაწყენდნენ, რომლებიც იმ დღეს იქ არ გამოჩნდნენ. მომიტინგეთა განწყობილებითაც დავინტერესდი. თითქმის უმრავლესობას არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადება სასაცილოდ და წარმოუდგენლად მიაჩნია. პარტიების გაერთიანებისა და ერთიანი კანდიდატის დასახელების იმედი კვლავ აქვთ. მხოლოდ ამით თუ დავუპირისპირდებითო ამ ხელისუფლებას, რომელმაც კარგა ხნის წინ დაიწყო მომავალი არჩევნების გაყალბება. ისე, მე თუ მკითხავთ, რეგიონებში არჩევნები უკვე ჩატარებულია და ნაციონალებს გამარჯვება ჯიბეში უდევთ. ამომრჩევლებო, იყავით ფხიზლად!*

*გ. ჯ.*

## წკეპლიკები

### სად შოულობენ ამდენ შუშას?!

**„პირველად საქართველოში“? რა ხშირად ვისმენთ ხელისუფლების ამ ხმამაღალ, შთამბეჭდავ განცხადებას და მართლაც, ვისმენთ და ვხედავთ პირველად საქართველოში როგორ გაჩნდნენ, მომრავლდნენ შუშაში ჩასმული ნაგებობები.** „ჩვენი მოქმედება გამჭვირვალეა, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს“ – აცხადებენ ხელისუფალნი. ეს ხომ ხელისუფლების მორიგი პიარია. შინაგან და უშიშროების სამინისტროს შენობა შუშაშია ჩასმული, ასევე რაიონის პოლიციის განყოფილებებიც. ახალი ხიდიც შუშით გადახურეს. ძვირფასი ქვით აშენებული ყოფილი პარლამენტის შენობასაც, რომელიც სასტუმროსათვის არის გამიზნული, შუშაში ჩასვამენ. ყველასთვის თვალსაჩინო რომ გახდეს ვინ შედის და ვინ რას აკეთებს. ძვირფას ქვებს გაყიდიან, ფულს კი მორიგი შოუს მოსაწყობად გამოიყენებენ. ხო, მართლა, რა ამაყად, თავმომწონედ გადაყურებს პრეზიდენტის სასახლის შუშის გუმბათი ლტოლვილებისთვის ხრიოკ მიწაზე აშენებულ გეტოებს.

ხელისუფალნო, მინდა მოგაწოდოთ ერთი იდეა: იქნებ საზოგადოებრივი ტუალეტებიც ჩასვათ შუშაში „სრული ესთეტიკური ჭვრეტისთვის“?

### „ვაშა, სქუილერ!“

**ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის პოლიტიკური სატირის – „ცხოველთა ფერმის“ დიდებული მაგალითია ჩვენი ქვეყანა.** ვანგრევთ რაც წარსულში კარგი იყო, უზნეობას ვამკვიდრებთ ყველგან, სიმართლის დროც გვაქვს „იმედის“ არხზე, უგემოვნებო შოუების მთელი კასკადი, ცეკვა-სიმღერით, ზეიმით შევხვდით ჩვენს დამარცხებას, სქუილერიც გვყავს, ტყუილების დიდი ოსტატი, თვით ავგურებსაც შეშურდებოდათ მისი ტყუილი. სქუილერივით აგენტებს ეძებს ქვეყნის შიგნით, მეგობრებად მძევლები ყავს, ხმაჩახლეჩილი რომ გაჰყვირიან: – „ვაშა, სქუილერ!“ სცენარისტობას მიჰყო ხელი, თუმცა უნიჭოდ. ბოროტებას, სიბრიყვეს აფრქვევს. მაგრამ ნიჭი აქვს ფრენა-გაფრენის, მოგზაურობის არის ტრფიალი. იგი ჩვენი მაკლაია, მიშა-მაკლაი. ერთი რამ კი დასანანია, როგორ დაასწრო მას კოლუმბმა აღმოჩენა ამერიკისა? მაგრამ მაინც „ვაშა, ვაშა სქუილერ!“

**ლონდა მდივანი.**

## ინფორმაცია

### თუშეთში ისტორიული კოშკი ინგრევა

**თუშეთში** მე-17 საუკუნის ისტორიული ძეგლი ინგრევა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ადგილობრივებმა განუცხადეს, კოშკს რამდენიმე წელია ბზარები გაუჩნდა და ამ დროისთვის ერთ-ერთი კედელი უკვე შუაზე გაიხსნა.

ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კულტურული ძეგლების რეაბილიტაციისათვის წელს 7 მილიონი ლარი დაიხარჯება. აქედან 3 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო, 4 მილიონი კი ბიძინა ივანიშვილის ფონდიდან.

ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოში ვერ აკონკრეტებენ მოხდება თუ არა წელს თუშეთის ისტორიული კოშკის რეაბილიტაცია. თუშეთის მცხოვრებლების თქმით, იმ შემთხვევაში თუ ძეგლს სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწრაფოდ არ ჩაუტარდა, კოშკი მთლიანად ჩამოიშლება.

### გმობენ პათოლოგი მწერლის უნივერსიტეტში გამოსვლას



**ქრისტიან-დემოკრატიული** მოძრაობა ილიას უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება.

– მიგვაჩნია, რომ სავალალო და აღმაშფოთებელია ფაქტი, როდესაც ლიბერალური ღირებულებების სახელით მოქმედი ადამიანები ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეწევიან იმ პათოლოგიური შეხედულებების პროპაგანდას, რომელიც შეურაცხყოფს მორწმუნე საზოგადოების რელიგიურ გრძნობებს და ქმნის სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ ადამიანებს შორის შუღლისა და დაპირისპირების ნიადაგს, – განაცხადა საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატმა ზაზა გაბუნიამ.

მისივე თქმით, მიუღებელია უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვა და ლიტერატურული ნაწარმოების აკრძალვის ნებისმიერი მცდელობა, თუმცა არც სასწავლებლის ადმინისტრაციამ უნდა დაუშვას უხამსობის ტირაჟირება.

### რუსეთში ტაჯიკური პროდუქცია აკრძალეს



**რუსეთის** სანიტარიულმა სამსახურმა მიიღო დავალება, რუსეთის მაღაზიებისა და ბაზრებიდან ამოეღოთ ტაჯიკეთიდან შემოტანილი პროდუქცია – თხილი და მშრალი ხილის პროდუქტები. აღნიშნული ზომა რუსეთის სანიტარიულმა სამსახურმა ტაჯიკეთში გავრცელებული ინფექციური დაავადების – პოლიომელიტის გავრცელების აღსაკვეთად მიიღო.

– მიღებულ იქნეს ზომები სავაჭრო ქსელიდან რესპუბლიკა ტაჯიკეთის წარმოების თხილისა და მშრალი ხილის ამოღებასთან დაკავშირებით, – ნათქვამია „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის გენადი ონიშენკოს განკარგულებაში და იქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იკრძალება ტაჯიკეთში წარმოებული ამ პროდუქციით ვაჭრობა და ტაჯიკეთიდან ამ პროდუქციის შემოტანა.

### ღორის გრიპის ვაქცინაციით მოგვამარაგეს




**საქართველოში** H1N1 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შემოიტანეს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა პრეპარატის განაწილება უკვე დაიწყო. აცრები სავალდებულო იქნება და პირველ ეტაპზე ის სამედიცინო პერსონალსა და ორსულებს ჩაუტარდებათ.

აღნიშნული ცენტრის უფროსის მოადგილის შოთა ცანავას განცხადებით, ქვეყანაში ე.წ. ღორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის კიდევ ახალი პარტიები შემოვა.

– სულ 400 ათასი ცალი ვაქცინის შემოტანას ველოდებით. მინდა აღვნიშნო, რომ ვაქცინა სრულიად უსაფრთხოა, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ უკვე დაადასტურა, – აცხადებს ცანავა.

შეგახსენებთ, რომ H1N1 ვირუსმა საქართველოში დაახლოებით 40-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

### მცხეთა-ლარსის მონაკვეთზე მოძრაობა განახლდა

**მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის** საავტომობილო გზაზე მოძრაობა აღდგენილია.

გახშირებული წვიმების გამო ჩამოშლილი კლდოვანი ლოდებისგან გზის გაწმენდითი სამუშაოები უკვე დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ უზარმაზარი ლოდების დაშლა ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენების საშუალებით მოხდა, რის შემდეგაც ის ტერიტორიიდან სპეციალური ტექნიკით გაიტანეს.

### სახლის დემონტაჟისას ერთი მუშა დაიღუპა




**ქუთაისში** საცხოვრებელი სახლის დემონტაჟს ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

შემთხვევა 26 მაისის ქუჩის № 58 ნომერში გუშინ მოხდა.

დაღუპულია 57 წლის გელა თუთბერიძე. სახლის დემონტაჟზე მომუშავე კიდევ ერთი მუშა კი უმძიმესი მდგომარეობით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სახლში დაახლოებით ერთი თვის წინ აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც საყრდენი კედლები დაზიანდა. სწორედ ამის გამო გადაწყდა შენობის დემონტაჟი.

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# კატინი – სიყალბე, დიდი დანაშაული თუ სინამდვილე?

**გასული დღეების სენსაციად უნდა ჩაითვალოს რუსეთის სახელმწიფო ტელეარხებზე კატინის ტრაგედიის გამომწვევი სახელმწიფო საარქივო მასალების ჩვენება.** სენსაცია უმალ აიტაცეს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა, დაწვრილებით გააშუქეს რა პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით პოლონელ ტყვე სამხედრო მოსამსახურეთა დახვრეტა. ტელეკომპანია „როსია-24"-ის ეთერში გამოსვლის დროს **„როსარქივის"** ხელმძღვანელმა ანდრეი არტიზოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება სრულ გახსნილობას ავლენს კატინის ამბებთან დაკავშირებით და ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს ყველა დოკუმენტი. დანიაში სახელმწიფო ვიზიტად მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმაც არ დააყოვნა და განაცხადა, რომ ე. წ. ნომერ I პაკეტი, გრიფით – სრულიად საიდუმლო – გამომზეურებულია. პრეზიდენტის განცხადებას ლაიტმოტივად გასდევდა „სტალინური რეპრესიების" დამგმობი სიტყვებიც,რაც სხვათა გასაგონად ნიშნავს შემდეგს – სტალინის რეჟიმი იყო სისხლიანი, ჩვენ არაფერი გვაკავშირებს მასთან. და მართლაც 1940 წელს მომხდარ ამბავთან რა კავშირი უნდა ჰქონდეს რუსეთის დღევანდელ ხელისუფალთ? ცხადია, არაფერი, გარდა ერთისა, რაც უმნიშვნელო არ არის. დღევანდელი რუსეთი „ავადსახსენებელი" საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა და უნდა თუ არა, პასუხი უნდა გასცეს შინ და გარეთ გაჩენილ არასასიამოვნო შეკითხვებს. როგორ? ეს სხვა საკითხია. რიგი ქვეყნებისა ამას ისე აკეთებენ არც ისტორია იბღალება და არც მომავალი. მაგალითების დასახელებაც შეიძლება, თუნდაც ესპანეთისა და ჩინეთის სახით. ამას წინათ „ევრონიუსზე" გამოსვლის დროს ესპანელმა საზოგადო მოღვაწემ გაღიზიანებით განაცხადა, რომ ფრანკიზმის პერიოდის მოხსენიებას ტაბუ აქვს დადებული, არავის აქვს უფლება ილაპარაკოს იმჟამინდელ რეპრესიებზე. ანალოგიური ვითარებაა ჩინეთში, სადაც მაო ძედუნი და მისი ეპოქა ხელშეუხებელია. ის ბელადია.

**დღევანდელი რუსეთი იმ მტკიცე სახელმწიფოებრივ ფუნდამენტზე დგას, რასაც შექმნიდან დაწყებული, დაბეჯითებით ებრძოდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან. არაფერი გამოუვიდათ. არაფერი გამოუვიდათ მაშინაც, როდესაც დასავლეთის პირდაპირი წაქეზებით თუ არა, წაყრუებით გერმანული ფაშიზმი საბჭოეთს მიადგა. არ გამოუვიდათ ცივი ომის პერიოდშიც, როდესაც სტალინის მიერ შექმნილმა სახელმწიფომ ტოლი არ დაუდო აშშ-ს და მისი სატელიტების მსოფლიო ჰეგემონიზმს. მყარი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა იყო და არის ის საფუძველი, რამაც მსოფლიოს 65 წლის განმავლობაში მოუტანა მშვიდობა. ორპოლუსიანი სამყარო სხვა არაფერი იყო, თუ არა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაბალანსებული თანაცხოვრება.**

და ბოლოს გამოვიდა არა დასავლეთის ძალისხმევით (ცხადია ამასაც ჰქონდა ადგილიძ, არამედ თვით საბჭოთა პოლიტიკაში გაჩენილი კეთროვანი დაავადების შედეგად, რომლის დევიზი – ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს გამოვიდა ჩემთვისა, დღესაც აქტუალურია. გორბაჩოვი, ელცინი, შევარდნაძე, სხვები ბევრს ეცადნენ საკუთარი ბედნიერებისათვის. „ლენინმა სახელმწიფო დაგვიტოვა, ჩვენ კი „პრასრალი"", უთხრა სტალინმა თავის თანამებრძოლებს 1941 წლის ივლისში, ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ. საინტერესოა, როგორი იქნებოდა მისი შეფასება მსოფლიოს უდიდესი, საბჭოთა იმპერიის თვითლიკვიდაციისას? მაინც რა ცემენტით უნდა ყოფილიყო ნაშენი საბჭოთა სახელმწიფო, რომ 1991 წლამდე გაეძლო ხელისუფლებაში მოკალათებული საეჭვო რეპუტაციის პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერებისათვის. **ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი, პარტიელი, საქ. კპ. ცკ-ს პირველი მდივანი, სსრ კპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და შემდეგ წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი „საიდუმლოდ" რომ გაგვანდობს, მთელი ცხოვრება კომუნისტებს ვებრძოდიო, რა გადაარჩენდა იმ ქვეყანას?** დაიშალა საბჭოთა კავშირი და შეიქმნა უამრავი თავსატკივარი, რომელთა გადაჭრა უჭირს სამართალმემკვიდრეს.



დიდი ქვეყნის დაშლით გამოწვეულ ეიფორიას საზღვარი არ ჰქონდა. არა აქვს დღესაც. ამასთანავე, თავისთავად აჩენს სასურველ კითხვას – თუ დიდი დაიშალა, რატომ არ შეიძლება შედარებით პატარის დაშლა? ცხადია შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მსგავსად უხვდაა ამის მსურველი რუსეთის საზოგადოებასა და ხელისუფლებაში. და არის ერთი ლანძღვა-გინება ატეხილი დასავლეთიდან დაპურებული რუსი (რუსი?ძ ლიბერალების – ფაშიზმი და სტალინიზმი ერთი და იგივეაო. წარსულის შეურაცხმყოფელი გინება დაშვებულია. დაშვებულია გუშინდელთა შეცდომების მონანიებაც, თვითგვემაც. სახელმწიფო პოლიტიკა მოითხოვს დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. გორბაჩოვ-ელცინის მიერ დანგრეულ გიგანტს, უფრო სწორედ, მის ნაწილს, მაგრამ მაინც დიდს, ფეხზე დასადგომად დასავლური ტექნოლოგია ესაჭიროება. ის, რაც იყო, მოძველდა. შემქმნელი, ელცინის „საამური" ცხოვრების წყალობით ამერიკაში გადაიხვეწა. 150.000-ზე მეტი რუსული მეცნიერული ტვინი ნაცვლად რუსეთისა, ამერიკას ხმარდება, დასავლეთი კი ტექნოლოგიის საფასურად პოლიტიკურ ლოიალურობას, დათმობას მოითხოვს – ისტორიაშიც, თანამედროვეობაშიც. სწორედ ამ დათმობამ დაამხო თავზე გორბაჩოვს ქვეყანა. რა იქნება ხვალ? ამაზე პასუხს მომავალი გასცემს. მანამდე საჭიროა მონანიება, თუნდაც ისეთ საკითხში, როგორიც კატინია.

რუსი სპეციალისტების აზრით, კატინის დოკუმენტების სენსაციური ამბავი სულაც არ არის სენსაცია. მათი არსებობის შესახებ გარკვეული და არცთუ ვიწრო წრისთვის იმთავითვე იყო ცნობილი. ის, რომ ნომერ პირველი პაკეტი მხოლოდ 1992 წელს იქნა გახსნილი კომისიის შესასწავლად, ნაკლებად დასაჯერებელია – ასე მიიჩნევს ისტორიკოსთა ერთი ნაწილი. თვით „როსარქივის" ხელმძღვანელის არტიზოვის თქმით, ელცინის დავალებით, 1990 წლის ოქტომბერში, დოკუმენტების ასლები გადაეცა პოლონეთის პრეზიდენტს ლეჰ ვალენსას, რომელმაც ისინი გამოაქვეყნა პრესაში. არტიზოვის განცხადებით, საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის კატინის დოკუმენტები არ ყოფილა საიდუმლო. ისინი პერიოდულად ხსნიდნენ ნომერ პირველ პაკეტს, ეცნობოდნენ მას და შემდეგ ისევ აბრუნებდნენ.

**რისგან შედგება ნომერ პირველი პაკეტი? უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას მოხსენებითი ბარათისგან, რომელიც 1940 წლის მარტით არის დათარიღებული. ბერია მიმართავს პოლიტბიუროს წინადადებით პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტა-ლიკვიდაციის თაობაზე. ბერიას მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ბანაკებში ჯარისკაცებისა და უნტეროფიცრების გარდა (ისინი შემდეგ გაათავისუფლეს) 14736 ოფიცერი, პოლიციელი, ჟანდარმი, ციხის მსახური, ჯაშუში, სახელმწიფო მოხელეა. ბერია ითხოვს, მათი საქმე განხილულ იქნას ტყვეთა დაუკითხავად და დანაშაულის წაყენების გარეშე. მოხსენებით ბარათზე არის სტალინის და პოლიტბიუროს წევრების ვოროშილოვის, მოლოტოვის, მიქოიანის ხელმოწერები, იქვეა პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის დადგენილება, სადაც გამოხატულია თანხმობა ბერიას წინადადებაზე. პაკეტში არის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე შლეპინის 1959 წლის ხელნაწერი მოხსენებითი ბარათი ხრუშჩოვის სახელზე, სადაც ის ითხოვს პოლონელი ტყვეების დახვრეტის დამადასტურებელი მასალების განადგურებას – ქვეყნის დისკრედიტაციის თავიდან აცილების მიზნით.**

არქივის ხელმძღვანელი შეეხო საზოგადოებაში მოარულ ფალსიფიკაციის საკითხსაც. „ამბობენ, ეს არის ფალსიფიკაცია, რომ დოკუმენტები გაკეთებულია შეკვეთით და არავითარ დახვრეტას ადგილი არ ჰქონია. ხვრეტდნენ გერმანელები. თუ კატინსა და პიატიხატკაში მართლაც იყვნენ გერმანელები და კატინში არის გერმანელთა მხრიდან დახვრეტის ფაქტები, რა ვუყოთ მედნის, სადაც გერმანელები არ ყოფილან? დიდი რაოდენობა დახვრეტილი პოლონელებისა სწორედ მედინზე მოდის", – განაცხადა მან.

ფალსიფიკაციის საკითხი შემთხვევით არ იყო წამოჭრილი, რომ იტყვიან – კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. **რუსი ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ დოკუმენტები ყალბია. მათი ეჭვის საბაბს იძლევა ბერიას მოხსენებით ბარათზე ნკვდ-დან გასვლის ნომრისა და თარიღის არარსებობა, რაც იმჟამინდელი ბიუროკრატიული აპარატის, თანაც ბერიას, უნებლიე შეცდომას არ შეიძლება მიეწეროს. იგივე „შეცდომა" მეორდება დოკუმენტის სტალინის კანცელარიაში შესვლისას, როგორც ჩანს, ცნობილ პროფესიონალს პოსკრებიშჩევს „დაავიწყდა" დოკუმენტის მიღების დანომვრა-დათარიღება. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას მოხსენებითი ბარათისთვის მხარის დაჭერის თაობაზე ხელს აწერენ ვოროშილოვი, მოლოტოვი, მიქოიანი. გამოკითხვის გზით მხარს უჭერენ – კალინინი მალენკოვი, კაგანოვიჩი. არსადაა ხრუშჩოვის ხელმოწერა ან თანხმობა. ხრუშჩოვი მაშინ უკრაინის კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი იყო. მიღებული წესის მიხედვით მოსკოვში არმყოფ პოლიტბიუროს წევრს გადაწყვეტილების მისაღებად ტელეფონით ეკითხებოდნენ. მოსაზრება, რომ ვერ დაუკავშირდნენ, გამორიცხულია. გამორიცხულია ისიც, რომ ხრუშჩოვმა თავი შეიკავა ან უარი თქვა. ამ შემთხვევაშიც აღნიშნული იქნებოდა დოკუმენტში. მეცნიერთა აზრით, დოკუმენტები თვით ხრუშჩოვის ბრძანებით არის გაყალბებული. სიჩქარეში გამორჩათ ნიუანსები ნომრებთან და თარიღთან დაკავშირებით. იბადება კითხვა – რაში დასჭირდა ხრუშჩოვს გაყალბება?**

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა პირველობისათვის. არ ერიდებოდნენ დაპატიმრებას, ყალბ ბრალდებას. მაგალითად, ბერიას სიკვდილი მიუსაჯეს სახელმწიფო ღალატისა და ინგლისის ჯაშუშობისათვის – საბჭოთა კავშირის მარშალს, ატომური ბომბის შექმნის ორგანიზატორს. ბერიას დახვრეტის შემდეგ ბრძოლა პირველობისთვის გაგრძელდა. ხრუშჩოვის რისხვის ობიექტი ამჯერად მელნიკოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი აღმოჩნდა. მათი დისკრედიტაციისათვის საჭირო იყო წყალგაუვალი დოკუმენტი. პოლიტბიუროს ძველი წევრების თავიდან მოსაშორებლად, სტალინის პიროვნების კულტის დასაგმობად, საჭირო იყო საარქივო მასალების რევიზია, მასში სათანადო „კორექტირების" შეტანა, რაც განხორციელდა ხრუშჩოვის ბრძანებით და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის შელეპინის ხელით. ამ უკანასკნელის მოხსენებითი ბარათის არსი იმაშია, რომ დაამტკიცოს კატინის დოკუმენტების ნამდვილობა.

**მეცნიერები მოითხოვენ კატინის მასალების საფუძვლიან შესწავლას. მათი აზრით, დასადგენია, თუ როდის არის დამზადებული ქაღალდები, რომელზეც დაიბეჭდა ბერიას მოხსენებითი ბარათი, პოლიტბიუროს გადაწყვეტილება. როდის არის გაკეთებული სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების ხელმოწერები. ექსპერტთა აზრით, ხელმოწერები ყალბია. გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ, რომ კატინის ისტორია ცალკე არ იყოს გამოყოფილი. ის უნდა განიხილებოდეს იმჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად. და თუ მართლაც პოლიტბიუროს ბრალი მიუძღვის კატინის დახვრეტაში, რით იყო ის გამოწვეული? ზოგი იხსენებს კაგანოვიჩის ნათქვამს, რომ მართლაც ჰქონდა ადგილი 3.000 პოლონელი დამნაშავის დახვრეტას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1920 წელს პოლონეთში ტყვედმყოფი წითელარმიელების დახვრეტაში (86.000 კაცი).**

რაში დასჭირდა ელცინს კატინის დოკუმენტების გამოჩენა? უპირველეს ყოვლისა, კომპარტიის სრული დისკრედიტაციისთვის. მომავალ არჩევნებში სწორედ კომპარტია მიიჩნეოდა ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ.

რაში სჭირდებოდა დღევანდელებს კატინის „სენსაცია"? უპირველეს ყოვლისა, პოლონეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესებისთვის, დასავლეთთან კეკლუცობისთვის. მავანი იკითხავს – ისტორია? ისტორია აიტანს, სტალინიც. თუ მისი მორიგი გაშავებით დღევანდელი საქმე გაკეთდება, არ ღირს ამ ნაბიჯის გადადგმა? გაივლის წლები, მოვლენ სხვა ლიდერები, ახლა ისინი ამოიღებენ კატინის დოკუმენტებს და სხვაგვარად წაიკითხავენ, არა ისე, როგორც დღეს, ასე იქნება სამარადისოდ, ვიდრე იქნება სტალინი. **დაუსრულებელ კატინომანიას მხოლოდ მიუკერძოებელი საერთაშორისო კომისიის მუშაობით უნდა დაესვას წერტილი. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება გაუთავებელი დაპირისპირება.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ინფორმაცია

## თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება

**საქართველოში ჩეხეთის სრულუფლებიანი ელჩის ივან იესტრჟაბის განცხადებით, საქართველოსა და ჩეხეთს შორის ენერგოუსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.**

**– ენერგოუსაფრთხოება – ეს არის თემა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას, ასევე ჩეხეთს და მთლიანად ალიანსში შემავალი ქვეყნების ინტერესს წარმოადგენს. ალსანიშნავია, რომ ამ საკითხებში ქართული მხარე აქტიურად არის ჩართული. ჩვენი მიზანია საქართველოსა და ჩეხეთს შორის ენერგოუსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს, – განაცხადა ივან იესტრჟაბმა.**

**ამასთან, ჩეხმა დიპლომატმა იმედი გამოთქვა, რომ დღევანდელ სემინარზე ენერგოუსაფრთხოების კუთხით მთელ რიგ კითხვებს პასუხები გაეცემა და შეხვედრა წარმატებული იქნება.**

## პოლიციის აკადემია უცხოეთის დელეგაციებს მასპინძლობს

**პოლიციის აკადემია 20 ქვეყნის დელეგაციას მასპინძლობს.**

**გუშინდელ ფორუმს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოური კოლეჯების ხელმძღვანელები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოში პოლონეთის ელჩი დაესწრნენ.**

**აღსანიშნავია, რომ სემინარი პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყო.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

## „დეზერტირების“ ბაზრის მაგალითზე...



***მოახლოვდა** თუ არა თვითმმართველობის არჩევნები, ყველა მოარჩევნე პერსონაჟმა მიმზიდველი, მრავლისმეტყველი, ფერად-ფერადი სლოგანებით დაიმშვენა ხელი. იმათ შორის, ვინც არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დედაქალაქის მერის სავარძლის საპრივატიზებოდ ემზადება, ყველაზე მოკრძალებული სლოგანით მაინც იმავე სავარძლის ყოფილი მესაკუთრე გიგი უგულავა წარმოგვიდგა. ვერაფერს დაუწუნებ, თბილისის ძველ უბანში (მთაწმინდაზე) დაბადებულმა და გაზრდილმა ბიჭმა ერთ დღეში ყველა საჭირო პროფესია, დაწყებული ხაბაზობით და დამთავრებული „ზაპრავშიკობით“, თვალის დახამხამებაში აითვისა, თანაც ზოგიერთივით კი არ გაიბღინძა, თავმდაბლობით გამორჩეულმა მერყოფილმა მორიდებით განაცხადა: „დღეს თბილისი უკეთესი ქალაქია, ვიდრე 5 წლის წინათ იყო, უკეთესი ქუჩებით, უკეთესი განათებით, სისუფთავით, ტრანსპორტით და სათამაშო მოედნებით“, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და თუ ნდობას გამომიცხადებთ, ორ-სამ წელიწადში გაუკეთებელს და დაუსრულებელს, გულითაც რომ ეძებოთ, ველარაფერს იპოვითო.*

# გასაკეთებელიც კიდევ ბევრია!

ჰოდა, მერად არჩევის შემთხვევაში თავად გიგი უგულავას და ჩვენც, ამომრჩევლებს, მერე საძებარი რომ არ გაგვიხდეს, რა გამორჩა ქალაქის თავს დაუსრულებელი და გაუკეთებელი, არც თუ იშვიათად მერიის მიერვე დანგრეული და შემდეგ მიტოვებული, ალბათ, უპრიანი იქნება ზოგი რამ ახლავე შევახსენოთ და თუ არ იუკადრისებს, ვურჩიოთ კიდეც, რომ ერთი სლოგანი – „გასაკეთებელიც კიდევ ბევრია!“ – „ზაპასად“ იქონიოს. მერწმუნეთ, თვითონვე დასჭირდება, თორემ მე რა მალაპარაკებს. ყოველი შემთხვევისთვის, ყბედობა რომ არავინ დამწამოს, მერიის ადრინდელი ნამოღვაწარისგან ზოგ რამეს მაინც შემოგთავაზებთ.

რა გასახსენებელია, მაგრამ ბევრ თბილისელს დღესაც ძალლის ნაკბენივით ახსენებს თავს რიყეზე აშენებული ლითონის რალაც მექანიკურ-გასართობი „საქანელა“ რომელმაც ორ დღეში თქვენი ჭირი წაიღო და ასეულ ათასობით დოლარიც თან გაიყოლა. ახლა სწორედ იმ ნანგრევის მეზობლად შეუნელებელი ტემპით იგება ახალი გასართობი საოცრება – ეგრეთ წოდებული „შუშის ხიდი“, რომლის მსგავსი, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, მთელ დუნიაზე არ მოიძებნება. სულაც არ გაგიკვირდეთ, ერთ მშვენიერ დღეს ამ უნიკალურმა ნაგებობამაც ველარ დააკმაყოფილოს ქვეყნის მბრძანებელთა ევროატლანტიკური გემოვნება, ხიდი დაანგრიონ და მასთან ერთად დახარჯული მილიონებიც მტკვარში გადაუძახონ. განა ასე არ მოიქცნენ, როცა მავანს გმირთა მოედანზე ესტაკადის აშენების იდეა მოეძალა, რამაც იქ ადრე აგებული, პრეზიდენტის ოცნებით ნალოლიავები შადრევანი შეიწირა(?!ძ იმ შადრევანშიც ხომ ლატაკი ქვეყნის ლატაკი მოსახლეობის ნაოფლარი იყო ჩაყრილი.

რახან ხარჯს ვეწევი, მოდით „დეზერტირების ბაზრის“ აწ უკვე ისტორიად შემორჩენილ ამბავსაც გავიხსენებ. ჯერაც არ დაგვიწყებიათ, ალბათ, თბილისის მერიამ როგორი მონდომებით დაანგრია დედაქალაქის ცენტრალური ბაზარი იმ მოტივით, რომ ევროპული ქალაქის სტანდარტებს ველარ აკმაყოფილებდა, თანაც მიმდებარე ტერიტორია ქუჩის მოვაჭრეთა მიერ ისე იყო დაბინძურებული, რომ პროდუქტთა ნარჩენების მყრალი სუნი სამეფო კანცელარიისა და მერიის თავკაცთა კაბინეტამდე აღწევდა.

რა უნდა ექნათ? უნდა დაენგრიათ და დაანგრიეს კიდეც, მაგრამ მის ადგილზე რომ ველარაფერი ააშენეს? არადა მაშინ მერია ჰპირდებოდა თბილისელებს, მალე აქ თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრს ავაშენებთ, აღარც ტალახი შეგაწუხებთ და აღარც სიბინძურე, თანაც ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღ პროდუქტებს შეიძენთ და ყოველგვარი საფრთხისგან დაზღვეული იქნებითო.

ამ დაპირებიდან კაი სამი წელი გავიდა (თუ მეტი არაძ, მაგრამ თბილისელებმა „დეზერტირების ბაზრის“ ადგილზე აგებული ვერც თანამედროვე სავაჭრო ცენტრი დალანდეს და რაც ძველით შემორჩენილი ჰქონდათ, ისიც დაკარგეს. ფაქტია, თუ ადრე დედაქალაქში ყავლგასულ, დაძაბუნებულ და დანაგვიანებულ შენობაში უწევდათ სურსათის შეძენა, დღეს უკვე იმავე ტერიტორიაზე, არა ბეტონზე მოსიარულეებს, არამედ ტალახში ამოსვრილებს უხდებათ ვაჭრობა. აღარაფერს ვამბობთ მიმდებარე ქუჩებზე, რომლებიც გარემოვაჭრეებით ერთიანად გადატენილია.

მაინც რა მოხდა, რატომ ვერ შეძლეს ქალაქის თავკაცებმა დანაპირების შესრულება? ხალხში გავრცელებული ინფორმაციით, „დეზერტირების ბაზრის“ ტერიტორია თავის დროზე თურმე ჩინელებმა იყიდეს და გადაწყვეტილი ჰქონდათ, იქ თანამედროვე ტიპის სასტუმრო და მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრი აეშენებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. რატომ? **ჩინელებს აბა საიდან უნდა სცოდნოდათ, მაგრამ თურმე არც ქალაქის მერიამ იცოდა, რომ ბაზრის ქვემოთ მეტროს გვირაბი გადიოდა და იქ მასიური შენობის აგება არ შეიძლებოდა. არცოდნა არცოდვააო, უთქვამთ, და, აქედან გამომდინარე, ნაბაზრალი დღემდე ატალახებული დარჩა.**

საერთოდ, როგორც ჩანს, მერიამ ბაზრები აითვალისწუნა და თბილისის ისტორიული კოლორიტის შესანარჩუნებლად თუ ტურისტთა საექსკურსიოდ მხოლოდ ნავთლუღის ძველთაძველი ბაზარიღა შემოიტოვა. იქაც ბაზარს მასში შეღწევამდე ქუჩებში დაყრილი ყარტალ-ყურტალა პროდუქტებით თუ იყნოსავთ, თორემ შიგ შესულებს მხოლოდ ცარიელი, შეუკეთებელ-დაფახფახებული დახლებიღა დაგხვდებათ. ერთადერთი, სადაც თბილისელებს **„კულტურულად“** შეუძლიათ ივაჭრონ, დელისის, ვაგზლის მოედნის, მარჯანიშვილის, სამგორის, ვარკეთილის და მეტროს სხვა სადგურებთან განთავსებული ბაზრობებია, თორემ სხვაგვარად მოსახლეობა დამშევას ნაღდად ვერ გადაურჩებოდა. ალბათ ვერც გადაურჩება, მაგრამ **ეს უკვე მას შემდეგ მოხდება, როცა მერობის კანდიდატი გარემოვაჭრეებისგან ხმებს გაინაღდებს და გულდამშვიდებული პოლიცია ქუჩებში კრუხებივით ჩამსხდარ მოვაჭრეებს კიდევ ერთხელ ქორივით ჩამოუქროლებს.**

მანამდე ბატონ გიგი უგულავასთვის ბოდიშის მოხდით (ვიცი, ამ დღეებში ძალიან გადატვირთულიაძ მინდოდა სასტუმრო „აჭარის“ წინ ამ რამდენიმე წლის წინათ აღმართული, ფიცრით ნაგები „ციხესიმაგრეც“ შემეხსენებინა, რომელიც მიმდებარე ქუჩებზე ავტომანქანების საცობთა მომრავლების ფუნქციის მეტს არაფერს ასრულებს. ვიცი, ქალაქის მერს, რომელსაც საცობების აღსაკვეთად და ესტაკადების ასაგებად მილიონების გადაყრაც არ ეუხერხულება, ამის შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ თუკი წინასაარჩევნო გადაღლილობამ სკლეროზის სიმპტომები გაუჩინა?!. **ამიტომ შევთავაზე თბილისის მერობის პირველ კანდიდატს გაკეთებულთან ერთად გაფუჭებული საქმეებიც არ დაივიწყოს და სლოგანიც, სხვებისგან განსხვავებით, ერთის ნაცვლად ორი იქონიოს.**

**ოთარ ხუციშვილი**



## რეალობა და მოლოდინი

# ხელოვნური ინტელექტი

**ფუტუროლოგები წინასწარ ვარაუდებს გამოთქვამენ იმის თაობაზე, თუ რაოდენ სახიფათოა კაცობრიობისთვის ხელოვნური ინტელექტის შექმნა, რომელიც ადამიანისას აღემატება.**

ხელოვნური ინტელექტით დაშინება დაახლოებით 50 წლის წინათ დაიწყეს. ბრიტანელმა სტატისტიკოსმა ირვინგ ჯონ გუდმა პირველმა გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ „ზეგონიერი მანქანის“ აგებას „ინტელექტუალური აფეთქება“ მოყვება, რის შედეგად ადამიანის გონება ხელოვნურს დიდად ჩამორჩება. **„ამდენად, პირველი ზეგონიერი მანქანა კაცობრიობის ბოლო გამოგონებად გადაიქცევა იმ პირობით, რომ საკმარისად მორჩილი იქნება და გაგვაგებინებს, თუ როგორ უნდა ვაკონტროლოთ ის“,** – განაცხადა გუდმა.

საშინელება კი ის არის, ამ, ერთი შეხედვით ფანტასტიკურმა წინასწარმეტყველებამ 1997 წელს რეალური სახე მიიღო, როცა 256 პარალელურად მომუშავე პროცესორზე აგებულმა სუპერკომპიუტერმა Deep Beue-მ ჭადრაკში მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ გარი კასპაროვს მოუგო, ანუ რაღაცით უკვე აჯობა ადამიანს. ამასთან, გამუდმებით იზრდება კომპიუტერების სიმძლავრე და სისწრაფე: **ამჟამად მათ მიერ წამში წარმოებული ოპერაციების დასათვლელად უკვე წინსართავ „პეტას“ იყენებენ, რაც 15-ნოლიან ერთიანს აღნიშნავს. ამასთან ახლა უკვე ფიქრობენ „იოტასა“ და „ჰელეზე“, რაც, შესაბამისად, 24 და 27-ნოლიან ერთიანს ნიშნავს.**

სამი წლის წინათ IBM-ისა და ლოზანის ფედერალური ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ შეძლეს თაგვის ტვინის ნაწილის სრული იმიტირება. ახლა ჯერი ადამიანზეა. უნდა ითქვას ისიც, რომ **მკვლევარები არ აპირებენ გონებისა და ინტელექტის მოდელირებას. მათი აზრით, სისტემის სირთულის გარკვეული ზღვრის მიღწევისას „გონება შესაძლოა თავისთავად წარმოიშვას“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმის ენთუზიასტები მომავალს ნათელ ფერებში აღიქვამენ – ხელოვნური ინტელექტი თითოეულ ადამიანს ზებუნებრივ შესაძლებლობებს მისცემსო, ხოლო სკეპტიკოსები სხვადასხვა ხიფათს ხედავენ და სხვადასხვა მასშტაბის უსიამოვნებებს წინასწარმეტყველებენ.

– იმის არანაირი მტკიცებულება არ არის, რომ ადამიანის გონების დონე გადაულახავი ზღუდეა, – აცხადებენ ისინი. – პირიქით, ყველაფერი მისი დაძლევისკენ მიდის. **თუკი ადამიანი ისეთ გონებას შექმნის, რომელიც თავისაზე უფრო სრულყოფილი და გაცილებით მძლავრი იქნება, მაშინ ამ ხელოვნურ გონებას კიდევ უფრო მძლავრი „ხელოვნური შთამომავლის“ შექმნაში ხელს ველარაფერი შეუშლის, რომელიც, თავის მხრივ, უსასრულო გონების შექმნის გზაზე ინტელექტუალურ სრულყოფას განაგრძობს.** თუმცა, მანამდე, თანაც საკმაოდ სწრაფად, კაცობრიობა უფრო დაბალი დონის თანამეგობრობად გადაიქცევა – ცხადია, მთლად ჭიანჭველებად არა, მაგრამ – ბავშვებად. ამის მიზეზი კი ის გახდება, რომ მინიმალური ჩამორჩენაც კი მოვლენების მდგრად შეუცნობელობას გამოიწვევს – **კომპიუტერები თავად დაიწყებენ საკუთარი თავის წინაშე ამოცანების დაყენებას და თავადვე შეუდგებიან მათ გადაწყვეტას ადამიანისთვის გაუგებარი მეთოდებით...**

წერტილს კაცობრიობის ისტორიაში, რომლის შემდეგ ჩვენ ველარ შევძლებთ იმის გაგებას, თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, მეცნიერებმა „ტექნოლოგიური სინგულარობა“ უწოდეს. **ცნობილმა ამერიკელმა გამომგონებელმა და ფუტუროლოგმა რეი კურცვაილმა, რომლის სახელი თანამედროვეობის თვრამეტ უდიდეს მოაზროვნეთა სიაშია შეტანილი, „ტექნოლოგიური სინგულარობა“ 2029 წლისთვის „დანიშნა“. მის მოსაზრებას ასევე იზიარებენ პროექტ Bluc Braich-ის ავტორებიც, რომლებიც ამავე თარიღისთვის ადამიანის გონების სრულ მოდელირებას გეგმავენ. კორპორაცია Intel-ის ტექნიკური დირექტორის ჯასტინ რატნერის პროგნოზით კი, რომელიც აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობს, ხელოვნური ინტელექტი განვითარებით ადამიანისას მხოლოდ 2050 წლისთვის გაუსწრებს.**

მოამზადა

**ოთარ ტურაბელიძე**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

### რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 22 წლის, უნივერსიტეტი წელს დავამთავრე, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე. 2 თვეა გარდამეცვალა ბებია, რომელსაც დარჩა დიდი ქონება: ორსართულიანი კერძო სახლი თბილისში, აგარაკი წყნეთში და სხვა. ჰყავს ერთი გათხოვილი ქალიშვილი (მამიდაჩემი). ბაბუა 5 წელია გარდამეცვალა, ხოლო მამა – 3 წლის წინათ. ვცხოვრობ დედასთან ერთად. და-ძმა არ მყავს. სხვა მემკვიდრე ბებიას არ ჰყოლია და არც ანდერძი ჰქონია დაწერილი.**

**გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა წილი ბებიის მემკვიდრეობიდან?**

**კახაბერ ნორაკიძე**

**პასუხი:** დიახ, გეკუთვნით, ბებიის მემკვიდრედ ჩაითვლებით თქვენი აწ გარდაცვლილი მამის მაგივრად – წარმომადგენლობითი უფლებით. რაც იმას ნიშნავს, რომ ბებიის კუთვნილი ქონება თანაბრად უნდა გაიყოს თქვენსა და მამიდათქვენს შორის. აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს ბებიის გარდაცვალებიდან 6 თვისაძ მიმართეთ ნოტარიუსს.

* * *

**კითხვა: ამ რამდენიმე დღის წინათ 58 წლის ჯანმრთელი ქალი მომაყოლეს შტატების შემცირებაში. მაქვს 30 წლის შრომის სტაჟი. დავრჩი საარსებო წყაროს გარეშე. პენსია მაინც არ მეკუთვნის?**

**ელენე გაჩეჩილაძე**

**პასუხი:** ასაკის პენსიის მიღების უფლება აქვთ ქალებს, 60 წლის შესრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 58 წლის ასაკში შემცირების გამო გათავისუფლებული ხართ სამუშაოდან, პენსიის დანიშვნის შესახებ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებისთვის, დღეისთვის მოქმედი კანონით, სამწუხაროდ, არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

ავტოსალონი

**ავტომობილი გადაადგილების საშუალება რომ არის და არა ფუფუნების, ეს ნახევრად სახუმარო თეზისი საუცხოოდ „აამეტყველეს“ თავის უკვდავ რომანში „ოქროს კერპი“ ბრწყინვალე იუმორისტებმა ილია ილფმა და ევგენი პეტროვმა. თუმცა, ავტომობილის მარტო გადაადგილების საშუალებად გამოყენების დროიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა ამ სატირულ პასაჟს, ალბათ, უნდა დაემატოს — „... თუმცა ავტომობილსაც გააჩნია“, რაშიც კარგა ხანია დავრწმუნდი, ხოლო ერთმა ბოლოდროინდელმა შეხვედრამ ეს რწმენა კიდევ უფრო გამიძლიერა.**

ცოტა ხნის წინათ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დამადასტურებელი მოწმობების გადაცემის საზეიმო ცერემონიას დავესწარი, სადაც პროგრამები უფრო ხელმისაწვდომი გახდა, რომლებიც ბატონმა დავითმა თავისით შეისწავლა. რამდენიმე პროექტი ძმებმა ზუკაკიშვილებმა ერთობლივად შეასრულეს, თუმცა ბატონი დავითის ძმა შემდგომ ამ საქმეს ჩამოსცილდა. მისი პირველი ნაბიჯი საქვეყნოდ ცნობილი ავტოგიგანტის „ტოიოტას“ მთავარი დიზაინერისთვის ნაზორი კოიოამასთვის ავტომანქანის საკუთარი დიზაინის წარდგენა იყო. იაპონიიდან პასუხიც მალევე მიიღო, სადაც სხვა ნიმუშების მიწოდებაც სთხოვეს.

— საქმე ის არის, რომ ვიდრე „ტოიოტას“ დიზაინს შევქმნიდი, მანამდე კიდევ რამდენიმე სხვა ავტომობილის დიზაინზეც ვიმუშავეთ და, კერძოდ, „ლექსუსის“, „ჰონდას“, „მაიბახის“, „ფოლკსვაგენის“ მოდელების დიზაინის ჩვენეული ვარიანტები წარვადგინეთ, — განაგრძობს საუბარს ბატონი დავითი — აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, კონტაქტები ამ ვარადაა: წარმოება თავადვე ქირაობს დიზაინერს, რომელსაც გარკვეული გასამრჯელოს საფასურად ამუშავებს და მას, მუდმივად დასაქმების პირობებში, სხვა სამუშაოს ძებნა აღარ უწევს. ასე იქცევა, ფაქტობრივად, მსოფლიოში ავტომობილების მწარმოებელი ყველა სოლიდური ფირმა, რომლის სადიზაინერო ბიუროებში 20-30 მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი მუშაობს. ამდენად, მას თქვენ როგორიც გნებავთ ორიგინალური ფორმა შესთავაზოთ, მაინც მნიშვნელოვნად შეზღუდული ხართ. ყველაფერი ისე ჩანს, რომ ფირმების დიზაინერები ერთგვარ ხელოვნურ „გალიაში“ არიან, სადაც სხვა ვერ აღწევს.

ასეთ ზოგად ფონზე მეტად საგულისხმო იყო ბატონ დავით ზუკაკიშვილისთვის იტალიური წამყვანი სადიზაინერო ფირმის PINIFARINA-დან მიღებული პასუხი ავტომანქანის ახალი მოდელის THERION-ის დიზაინის წარდგენასთან

# „მხეცი“, რომელიც გალიაში „შეღწევას“ ლამობს







ავტომანქანაზე საწარმოო ნიმუშის მოწმობა პროფესიით ექიმმა **დავით ზუკაკიშვილმა** მიიღო. სად ექიმობა და სად — ავტომობილის დიზაინიო, იკითხავთ, ალბათ, და სავსებით მართებულადაც. ჰოდა მეც იგივე აზრი გამიჩნდა, ამიტომაც რამდენიმე დღეში ბატონი დავითი რედაქციაში მოვიწვიე.

**— დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ვარ 39 წლის, ამჟამად ერთ-ერთ კერძო სტომატოლოგიურ კაბინეტში ვმუშაობ, ხატვა კი, უფრო სწორად, ავტომობილების დიზაინი ჩემი ბავშვობის გატაცებაა,** — ესაა ბატონ დავით ზუკაკიშვილის, ასე ვთქვათ, „სადარბაზო ბარათი“, რომელიც რედაქციაში სტუმრობისას წარმიდგინა.

— თუ ავტოდიზაინს სხვა სფეროთა დიზაინებს ისტორიულ ჭრილში შევადარებთ, ჯერ ერთი, რომ იგი სხვებზე გაცილებით „ახალგაზრდაა“, ვთქვათ, იმავე ტანსაცმლის მოდასთან შედარებით, მეორეც ის, რომ იგი სხვებზე გაცილებით რთულია, იმიტომ რომ გარკვეული ხისტი ჩარჩოებითაა შემოფარგლული, რომლებსაც დიზაინერი ვერაფრით გასცდება. სხვა რომ არაფერი ვთქვა, ავტომანქანის სხეულს გარკვეული გაბარიტები აქვს, მისი ფორმა გარკვეულ აეროდინამიკურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, სალონი მგზავრთათვის კომფორტული უნდა იყოს და, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი შესახებად ძალიან ლამაზი უნდა იყოს, — ასე ჩამოაყალიბა სტუმარმა თავისი გატაცების კრედო.

თავდაპირველად ავტოდიზაინით გატაცება მისთვის და მისი ძმისთვის სერიოზულ საქმედ მაშინ გადაიქცა, როცა კომპიუტერები და შესაბამისი გრაფიკული ცნობილი ფირმების წარმომადგენლებთანაც გვქონდა. უნდა გითხრათ, რომ ყველა ფირმიდან მიღებული პასუხი დაახლოებით ერთნაირი სტანდარტული შინაარსისაა: **ყველაფერი ძალიან კარგია, თქვენი ნამუშევარი დიდად მოგვეწონა, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენი ავტომანქანების დიზაინის გაკეთებას თავადვე ვაპირებთ.**

ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ თანამედროვე ავტოდიზაინის სფერო უაღრესად ჩაკეტილი სისტემაა, სადაც უცხოსთვის შეღწევა წარმოუდგენლად ძნელია. მაგალითისთვის, ავტოდიზაინს ისევ საუკუნეთა წიაღიდან წამოსულ მოდას თუ შევადარებთ, ამ სფეროში, ასე ვთქვათ, „კოზირები“ თავად დიზაინერს უჭირავს, რომელიც სამოსელის ამა თუ იმ მოდელისთვის საჭირო მასალას მანუფაქტურას თავადვე უკვეთავს. აქედან გამომდინარე, ტანსაცმლის ახალი ხაზის წარმოებისთვის საჭირო მთელი სახსრები თავს დიზაინერთან იყრის, ამიტომ მწარმოებლები შესაბამისი შეკვეთის მისაღებად კონტაქტების დამყარებას სწორედ მასთან ცდილობენ.

შედარებით ახლად ჩამოყალიბებული ავტოდიზაინის სფეროში კი საქმე სხვაგდაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ PINIFARINA-ს მიერ THERION-ის დიზაინის დადებითი შეფასება, რომლის სახელთანაა დაკავშირებული FERRARI-ს საუკეთესო მოდელები, შესაბამისი პროექტის გაგზავნის კვოტის მინიჭება და THERION-ის დაკვეთის შესრულება, ასევე მისი პირველი პრეზენტაციის ჩატარება, ქართული საავტომობილო დიზაინის სფეროს უდიდესი მიღწევაა, რადგან PINIFARINA-ს სახელისა და მისი გამოცდილების წყალობით ავტომანქანა ბრენდის სახეს შეიძენს. პასუხში, ასევე აღნიშნულია, რომ PINIFARINA-ს დიზაინზე შემდგომი მუშაობის პირველი ეტაპისთვის ფირმა 107 500 ევროს ითხოვს, რის შემდგომ მეორე ეტაპისთვის კიდევ ამდენივეს.

— PINIFARINA-დან პასუხის მიღების შემდეგ მათ აღარ დავკონტაქტებივარ, რადგან ჯერ საჭირო იყო ავტომობილი სამრეწველო ნიშნის პატენტის აღება, რაც ჩემს ავტორობას დაადასტურებდა და ეს ცოტა ხნის წინათ გავაკეთე კიდეც, — მითხრა ბატონმა დავითმა საუბრის დასასრულს. — THERION-ის მაკეტის შემდგომი პრეზენტაცია მაინის ფრანკფურტის ავტოსალონზე გაიმართება. მას საქართველოს ეროვნულ დროშას გადააფარებენ და ეროვნული ცეკვის თანხლებაც ექნება. შემდგომ პროექტი გაგრძელდება, ავტომანქანა სრულყოფილ სახეს მიიღებს და მერე მას ჩიკაგოს ავტოსალონზე წარადგენენ. ახლა საქმე 215 ათასი ევროს მოძიებაზეა, რასაც სერიოზული სპონსორი უნდა და ამ პროექტს, ჩემი აზრით, სახელმწიფოს მხარდაჭერა დასჭირდება, რისთვისაც შესაბამის სტრუქტურებს მივმართავ და, უნდა გითხრათ, მომავალს იმედიანად ვუცქერ.

**ჩემდა თავად კი ვიტყვი, რომ THERION-ის მსგავსი ექსკლუზიური მოდელები ქვეყნის სტაბილური განვითარების იმედის საფუძველს იძლევა, რაც მას მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ერთობ მომგებიანად წარმოაჩენს.**

ოთარ ტურაბელიძე

ინფორმაცია თემაში

***THERION-ი მიეკუთვნება სპორტ-კუპეს კლასის ავტომობილებს, ძრავის ცენტრალური განლაგებით, მისი ზომები შეესაბამება FERRARI 430-ის პარამეტრებს. დიზაინი გამოირჩევა ორიგინალობით, სტილით, სცილდება რეტროს სტილს და იმშვენებს ცხოველის ატავისტურ გადმონაშთებს — ხერხემალსა და კუდს. ფორმით მოდელი თანამედროვეობას პასუხობს, თანაც კლასიკური სტილის ელემენტებსაც ინარჩუნებს. თავად სახელი THERION-ი ბერძნულად „მხეცს“ ნიშნავს. ავტომობილის ემბლემა აბსტრაქციულ ეშვებიან ცხოველს მოგვაგონებს.***

***მანქანა ექსკლუზიურ მოდელთა რიგში ერთიანდება, რომლებზეც საკმაოდ დიდი მოთხოვნაა მსოფლიოს ელიტურ საზოგადოებაში და, შესაბამისად, ძვირად ფასობს.***



პოეზია

ნოდარ ჯალაღონია

## ახალი რვეულიდან

* * *

თუმც ქართული სიტყვის, ენის
ხოტბა-ქება ბევრჯერ ითქვა,
„სამშობლოზე“ უკეთესი
არ არსებობს ქვეყნად სიტყვა.

თუმც, ქართული ლექსის ქება
მიხარია როცა მესმის,
„სამშობლოზე“ უკეთესი
არ ითქმება ჩვენში ლექსი.

თუმცა, ბევრი უცხო ქვეყნის
დიდება და ქება მესმის,
თვით სამოთხეც არ იქნება
სამშობლოზე უკეთესი.

### ქართული ცეკვა, სიმღერა

ქართული ცეკვის კონკურსის მონაწილეებს

იყო, ოდითგან, ქართველის სულში და გულში ჩართული,
ღვთიური „იავნანა“ და უკვდავი ცეკვა „ქართული“.

თუმცა არ გვაკლდა მოყვარე, მტერსაც ყოველთვის
ველოდით
და უკვდავების სიმღერას „ მრავალჟამიერს“ ვმღეროდით.

თუმც ჰქონდათ დიდი სურვილი ურჯულოებს და წარმართებს,
ქართული ცეკვა-სიმღერა, ვეღარ და ვეღარ წაგვართვეს.

პატრონნი „ლილეს“, „მხედრულის“, „ხორუმისა“ და
„ხანჯლურის“
ვერ მოგვსპეს, ვერ დაგვაჩოქეს და ვეღარ
გადაგვარჯულეს.

ვერა და ვერ მოერივნენ „ოდოიას“ და „ვარადას“,
ქართული ცეკვა-სიმღერა სამშობლოს ედგა ფარადა.

ჩვენ განა მარტო გელათის, გულის ზარებსაც ვრეკავდით,
ღმერთი სამებით არის და ჩვენც „სამაიას“ ვცეკვავდით.

დღესაც ვახსენებთ ამაყად იმ წლებს ომებით დასერილს,
ხან სიმღერებად ნათქვამს და ხანაც ცეკვებით დაწერილს.

მათი სიმტკიცე, სილაღე გასაგებია სრულიად,
ქართული ცეკვა-სიმღერა ხომ საქართველოს სულია.

და თუ დასჭირდა მამულს კვლავ,
ჰანგი ბრძოლის და ლხინისა,
სიმღერა მაჩაბლისა და შუშპარი სუხიშვილისა,
ის სიმღერები, ცეკვები განა კვდებიან, ქრებიან,
ქართველი გოგო-ბიჭები ისევ ცერებზე დგებიან.

და ვით ტაო და კლარჯეთი, სვეტიცხოველი, ვარძია,
ქართული ცეკვა-სიმღერა დღესაც სამშობლოს განძია.

### არ მივლია ქვეყნის გზებზე

არ მივლია ქვეყნის გზებზე არც მგზავრად და
არც ტურისტად,
შერჩა ქართულ ცას და მიწას ჩემი ფიქრი და
გულისთქმა.

არ მინახავს პანთეონი არც ლონდონის, არც პარიზის,
მაგრამ მჯერა, არ იქნება მთაწმინდაზე უფრო დიდი.

არ მინახავს ბულონის ტყეც (თუმც ბულბულის ხმები მესმის),
არც ბულონის ტყე იქნება ჩემს ბორჯომზე უკეთესი.

არ მინახავს ეიფელიც, თუმცა მისი ქება მესმის –
ეიფელიც არ იქნება მყინვარწვერზე უკეთესი.

არ მინახავს, მაგრამ ვიცი და დასტურიც აღარ მინდა,
ვარძიაზე უკეთესი ვერ იქნება პირამიდა.

არ ვყოფილვარ, არ მინახავს და არ ვამბობ შურით, გესლით,
არც პარიზი არ იქნება ჩვენს თბილისზე უკეთესი.

რა ვქნა, ვეღარ ვიტრაბახებ მგზავრობით და სხვაგან ყოფნით,
საქებად და სალოცავად ჩემი საქართველოც მყოფნის.

თუმც ბევრი ცის, ბევრი მიწის დიდება და ქება მესმის,
თვით სამოთხეც არ იქნება სამშობლოზე უკეთესი.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ზურაბ ნოღაიდელი: ამბოხებული რეგიონების აღიარება რუსეთმა შეიძლება უკან გაიწვიოს

**ქართული ოპოზიციის ლიდერმა, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ მას აქვს „ზუსტი გეგმა“, თუ როგორ აიძულოს რუსეთი უარი თქვას საქართველოს ორი სეპარატისტული ოლქის დამოუკიდებლობის აღიარებაზე**

„გეგმა მიზნად ისახავს უზრუნველყოს ათასობით ქართველი ლტოლვილის დაბრუნება“ ამ ოლქებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, და „აღადგინოს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირურთიერთობანი“, – განუცხადა ნოღაიდელმა ჟურნალისტებს თბილისში.

„თუ საქართველო შეძლებს გადაჭრას თავისი კონფლიქტი აფხაზ და ოს ხალხებთან, მაშინ რუსეთი, როგორც ეს მოსალოდნელია, მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას“, – განაცხადა ნოღაიდელმა. საქართველოს ორი რეგიონის დაბრუნების „სასწაული“ „შეიძლება მოხდეს“, დაუმატა მან. 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთისთვის ბრძოლის დროს რუსეთმა გაანადგურა ამერიკელების გაწვრთნილი ქართული არმია. კონფლიქტის შემდეგ რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. კონფრონტაციის დროს, საქართველოს მთავრობის მონაცემებით, ლტოლვილად იქცა 100 ათასზე მეტი კაცი. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის აღიარება იყო საბოლოო და შეუქცევადი.

20 ათასზე მეტი კაცი გაიქცა სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონიდან რუსეთის ოკუპაციის შემდეგ, განაცხადა ნოღაიდელმა, და 2 ათასზე მეტი კაცი იძულებული იყო დაეტოვებინა კოდორის ხეობა აფხაზეთში.

საქართველოს მთავრობის მონაწილეობის გარეშე „ძნელი“ იქნება რუსეთთან ანდა სეპარატისტებთან ურთიერთობის მოწესრიგება, დაუმატა ნოღაიდელმა.

საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა უარი განაცხადა ნოღაიდელის განცხადების კომენტირებაზე.

„მთავრობას აქვს სტრატეგია ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით და იგი ამაზე მუშაობს, – განაცხადა იაკობაშვილმა ტელეფონით საუბრის დროს. – ამჟამად ხორციელდება მისი პირველი სტადია. ოკუპაციის მიუხედავად, ჩვენ ვგრძნობთ, რომ უნდა დავეხმაროთ ამ ორ რეგიონსა და მათ მოსახლეობას“.

ნოღაიდელმა კავშირურთიერთობათა დამყარება ქართულ ოპოზიციასთან და მოსკოვთან დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინის პარტია „ედინაია რასიასთან“ ხელი მოაწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. 7 მაისს ნოღაიდელი აპირებს ჩავიდეს რუსეთში მოლაპარაკებისთვის.

ნოღაიდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2005 წელს გახდა. ეს პოსტი მან დატოვა 2007 წლის ნოემბერში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააუქმა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გამოცხადებული იყო პოლიციასა და ოპოზიციურ დემონსტრანტებს შორის მომხდარი მკაცრი შეტაკების შემდეგ. ერთი წლის შემდეგ ნოღაიდელი ხელისუფლების ოპოზიციაში გადავიდა.

Bloomberg Businessweek

**ეს იყო გუშინ...**

# ბელადის სამსახურში

## ვერა პონკრატენკოვამ ლენინის ბალზამირება მოახდინა და უკანასკნელ გზაზე გააცილა სტალინი

*მავზოლეუმში მუშაობის შესახებ ყველა მისი თანამშრომელი ცდილობს არ ისაუბროს, თუმცა დოკუმენტებს ლენინის ბალზამირების შესახებ საიდუმლოების გრიფი დიდი ხანია მოეხსნა. ჩვენ შევძელით მოგვენახა ქალი, რომელიც 40-იანი წლების ბოლოს მუშაობდა მავზოლეუმში და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პროლეტარიატის ბელადს არ აძლევდა ნაწილებად დაშლის საშუალებას.*

*ვერა პონკრატენკოვა დაიბადა 1931 წელს სმოლენსკის ოლქის სოფელ ბრუსაში, გლეხის ოჯახში. როდესაც ომი დაიწყო, მამამისი ფრონტზე გაემგზავრა და იქ დაიღუპა.*







დღეს ვერა პონკრატენკოვა (მარცხნივ) არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა იმ სამუშაოზე, სადაც 19 წლის განმავლობაში მუშაობდა, მაგრამ ის წლები ბედნიერად მიაჩნია.

### წმიდათაწმიდა

– მე და დედაჩემმა გადავწყვიტეთ ჩავსულიყავით მოსკოვის გარეუბანში ნათესავებთან, – გვიამბობს ვერა მიხეილის ასული. – სოფელ ბელკოვოში მავზოლეუმში მუშაობის შესახებ არც მიფიქრია. ვფქვავდი ხორბალს, მომყავდა ბოსტნეული. სამუშაო მეტად მძიმე იყო, მაგრამ შრომას არასოდეს გავურბოდი. თუმცა, დედაქალაქი მიზიდავდა. როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დავამთავრე, ჩემი უფროსი დის მსგავსად, მოსკოვის დასაპყრობად გავეშურე.

დამ მიმიღო და სამსახურშიც მომაწყო.

– როდესაც იმან მაცნობა, თუ სად უნდა მემუშავა, სუნთქვა შემიჩერდა, – ამბობს პონკრატენკოვა. – თანამდებობა დაბალი იყო – ვახტიორისა. სამაგიეროდ, ლენინის მავზოლეუმთან არსებულ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში! იქ ვაწარმოებდი პროლეტარიატის ბელადის ბალზამირებას. მიმაჩნდა, რომ წმიდათაწმიდა ადგილში მოვხვდი.

წელიწადნახევრის შემდეგ ვერას დაწინაურება შესთავაზეს – გადაიყვანეს ლაბორატორიის სამეურნეო განყოფილებაში. იძენდა ინვენტარს, თუმცა ცოტა ხნით. მიკრობიოლოგიის განყოფილებაში გაჩნდა პრეპარატორის ადგილი. ვერას არ ჰქონდა შესაბამისი განათლება, მაგრამ შეცდომის უფლებაც არ ჰქონდა: მას უნდა მოემზადებინა სპეციალური ხსნარი ბალზამირებისთვის.

### ცოცხლებზე ცოცხალი რომ ყოფილიყო

– ქიმიური ხსნარის მომზადება საკმაოდ იოლი იყო, – იგონებს პონკრატენკოვა. – უბრალოდ, ხსნარი უნდა მომემზადებინა დიდი ოდენობით. თანაც იმ წლებში ბელადის სხეულის სანახავად მავზოლეუმი ღია იყო წელიწადში მხოლოდ ორი თვით. დანარჩენი დროის განმავლობაში ილიჩი სპეციალურ აბაზანაში იმყოფებოდა, რომელიც ავსებული იყო გლიცერინის, ფორმალინისა და სხვა კომპონენტების ხსნარით. პერიოდულად სხეული ამოჰქონდათ ამ ხსნარიდან დასამუშავებლად. მაგალითად, უკეთებდნენ აბაზანებს ხელებს და კანში შეჰყავდათ სპეციალური ხსნარი. შემდეგ კვლავ დაბალზამებულ აბაზანაში უშვებდნენ.

მუშაობის ნებას აძლევდნენ მხოლოდ სპეციალურ დაცვით კოსტიუმში. სხეულის ყველა ოპერაცია სრულდებოდა 14-15 გრადუსის ტემპერატურის დროს და სინესტის მუდმივ დონეზე.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც აბაზანიდან ამოჰქონდათ სხეული ბალზამირებისთვის, ბელადის სხეული შეიძლება დაჩქარებულად გახრწნილიყო, – განმარტავს პონკრატენკოვა. – საერთოდ მუშაობა მავზოლეუმთან არსებულ ლაბორატორიაში იყო მეტად მავნებელი. ვმუშაობდი შხამიან ქიმიკატებთან, აგრეთვე რადიაქტიურ ნივთიერებებთან. მაგრამ ჩემს ჯანმრთელობაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი. ჩვენ, ვინც ბელადის „უხრწნელ“ სხეულზე ვმუშაობდით, ჩვენი სამუშაო მიგვაჩნდა პრესტიჟულად და სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანად.

### სტალინის გაკვეთა

**1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა სტალინი. გვიან საღამოს ლაბორატორიაში, სადაც ვერა პონკრატენკოვა მუშაობდა, გასაკვეთად მოიტანეს „ხალხთა ბელადის“ სხეული. ცხედარი გაიტანეს საოპერაციოში. სტალინის სხეულთან უშვებდნენ მხოლოდ გამოცდილ ქირურგებს. პონკრატენკოვა და ყველა დანარჩენი თანამშრომლები იქ არ დაუშვეს. კართან იდგა დაცვის მთელი კედელი.**

– მალე მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კაგანოვიჩი, მარშალი ვასილევსკი, ბელადთან დაახლოებული ბევრი სხვა პირი. ყველანი დუმილით შევიდნენ საოპერაციოში და იქიდან გაკვეთის ბოლომდე არ გამოსულან. გაკვეთა მიმდინარეობდა გვიან საღამოდან დილამდე. ქირურგები არა მხოლოდ იკვლევდნენ სიკვდილის მიზეზს. როგორც ჩვენთვის შემდეგ გახდა ცნობილი, სტალინს გამოუღეს ყველა შინაგანი ორგანო: ღვიძლი, გული, ტვინი... ეს ყველაფერი მოათავსეს ლითონის სათავსოში, რომელშიც იყო სპეციალური ხსნარი და რომელიც შემდეგ დახურეს პლომბით. მაგრამ მე მაინც შევძელი „ხალხთა მამის“ ხილვა.

ოპერაციის შუა პერიოდში ქირურგებს გაუთავდათ ბინტი და ბამბა. ვერას სთხოვეს მოეტანა საწყობიდან ყველაფერი, რაც საჭირო იყო.

– მე შევედი და შევხედე იოსებ სტალინს, ქირურგებს გადავეცი ყველა შესახვევი მასალა და უმალვე გამოვედი, – ამბობს პონკრატენკოვა.

– განთიადისას, როდესაც გაკერეს ბელადის სხეული, სტალინს პირდაპირ ლაბორატორიაში ჩააცვეს საალუმო მუნდირი და სასახლე ბელადის სხეულით გაგზავნეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ქუჩაში უკვე შეიკრიბა მრავალათასიანი ადამიანი. ყველას უნდოდა, თუნდაც ერთი წამით შეეხედა მისთვის. როდესაც კატაფალკას გადაჰყავდა სტალინი, ხალხი სირბილით მისდევდა მანქანას, გაიძახოდა მადლობის სიტყვებს გარდაცვლილის მისამართით.

სტალინის სიკვდილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ვერა პონკრატენკოვამ დაწერა განცხადება საკუთარი სურვილით. გათავისუფლების მიზეზი მარტივი იყო – გოგონა გათხოვდა. და რადგანაც ქმარს ხანგრძლივ მივლინებებში უხდებოდა ყოფნა, პონკრატენკოვამაც გადაწყვიტა მას თან ხლებოდა ყოველთვის. იმის შესახებ, რომ მან დატოვა პრესტიჟული ადგილი, ვერა არ ნანობს. ამბობს, რომ ეს იყო მისი ცხოვრების საუკეთესო წლები, მაგრამ ყოველივე ამ წლების ხელახლა გავლა მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა.





ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სხეულს რეგულარულად უშვებენ აბაზანაში, რომელიც სავსეა სპეციალური ხსნარით „რელაქსაციისთვის“.

ЭКСПРЕСС газета online

გამოფენა

# ბელა ლობჟანიძის ნათელი პალიტრა



**ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის თბილისის ფილიალი 20 წლის თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჟანიძის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს.**

ბელა ნიკალას მშობლიური სოფლიდან – მირზაანიდანაა. იგი ბავშვობიდან ხატავს. გამორჩეულია ფერთა პალიტრა, სადაც ყვითელი ფერი სიმშვიდისა და სასოებისთვის განგაწყობთ.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ სტუმრები მირზაანიდან და მეზობელი სოფლებიდან. ახალგაზრდა მხატვარს მიესალმა მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი, მხატვარი ნოდარ რურუა, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, ასევე – ბელა ლობჟანიძის თანასოფლელები. ახალგაზრდებს მოსწონთ ბელას შემოქმედება, რაც დაადასტურეს კიდეც შთაბეჭდილებების წიგნში ავტოგრაფის დატოვებით.

გამოფენაზე წარმოდგენილია 14 ნამუშევარი, რომელთაგან გამოირჩევა: „ავტოპორტრეტი“, „მოცეკვავე ბიჭი“, „ნატურმორტი“, „პრომეთე“, „ქალი საყურეებით“, „მეოცნებე ბიჭი“...

ბელას ოცნებაა ნიკალა ფიროსმანის პორტრეტის დახატვა... მას ამ საქმეში უფალი და თავად მხატვრის სახება შეეწევა...

**ნატა ნიბლაძე.**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**









2010 წლის 27 მაისს, 15 საათზე შედგება ს.ს. „ელექტროავტომატის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
2. განვლილი პერიოდის შედეგების განხილვისა და გამოყენების შესახებ;
3. მშენებარე ნაგებობების დემონტაჟის შესახებ;
4. კრებაზე წამოჭრილი სხვადასხვა საკითხების განხილვა.

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №115.

ს.ს. „ელექტროავტომატის“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია

ს.ს. „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა საყურადღებოდ:

2010 წლის 08 ივნისს, 15 საათზე ქ. თბილისის მიტრ. ლაღიძის ქ. №21-ში ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება ს.ს. „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. საზოგადოების წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის განხილვა;
2. სხვადასხვა.

აქციონერთა საალრიცხვო თარიღად აღებულია 20 მაისი. აქციონერებს თავიანთი უფლებების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას, 41, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრი“.

დირექტორი
ჯემალ ალიბეგაშვილი

# განცხადება

**ცხადდება კანდიდატების შერჩევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების – ბოლნისის, ვანის, ზესტაფონისა და ყაზბეგის ადგილობრივი არქივების დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე.**

**შერჩევა განხორციელდება გასაუბრების, კომპიუტერზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და სახელმწიფო ენის ცოდნის შემოწმების სახით.**

**შერჩევა ჩატარდება:**

ვანის, ზესტაფონის, ბოლნისისა და ყაზბეგის ადგილობრივი არქივების დირექტორთა ვაკანტურ თანამდებობებზე 2010 წლის 21 მაისს, 12:00 საათზე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სახელმწიფო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერული პროგრამების WINDOWS, WORD, INTERNET ცოდნა და კომპიუტერზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

დ) შრომითი სტაჟი არა უმცირეს ერთი წლისა საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათი სისტემის დაწესებულებებში.

სასურველია მენეჯერული გამოცდილება ან ადმინისტრაციულ ორგანოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მინიმუმ ერთი წლის მუშაობის სტაჟი.

2. საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, თავი II, მ. 11; თავი III, მმ. 15,16; თავი IV, მმ. 19,20; თავი V, მ. 21; თავი VI, მ. 38; თავი VII, მ. 43; თავი XIII, მ. 65;

გ) საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

ე) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავი;

ვ) „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ზ) „საქმისწარმოების ერთიანი წესები“ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით);

თ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულება“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის ბრძანება №71);

ი) „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174);

კ) „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №263 ბრძანება).

3. არქივმცოდნეობის, საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისა და საარქივო საქმის მართვის ძირითადი დებულებების, ცნებებისა და მეთოდიკის ცოდნა.

ა) ეროვნული საარქივო ფონდი: ცნება, შემადგენლობა (მათ შორის ადგილობრივი არქივის დოკუმენტების შემადგენლობა), ფორმირების წესი – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, თავი I, მმ. 3,9, თავი III; „საქართველოს არქივები. ცნობარი – მიმოხილვა“ (თბ., 2000), თავი მეათე;

ბ) დაწესებულებებში დოკუმენტების შენახვის ორგანიზაცია – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, თავი IV, მ. 17; „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174); „საქართველოს არქივები. ცნობარი – მიმოხილვა“ (თბ., 2000), თავი მეექვსე);

გ) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების წესი – იხ. „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174), თავი III;

დ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის პრინციპები, ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემა – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ”, თავი V; „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესი” (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №262);

ე) საარქივო დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, თავი IV; „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №263);

ვ) საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შემადგენლობა – იხ. „სახელმწიფო არქივების მუშაობის ძირითადი წესები“ (თბ. 1988), კარი 4; „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174), თავი VIII;

ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის პრინციპი, დოკუმენტებთან დაშვების წესი, სარგებლობის შეზღუდვა; მოქალაქეთა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის შეკითხვების შესრულება – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, თავი VI;

თ) საარქივო საქმის მართვის სტრუქტურა, არქივების ქსელი, ადგილობრივი არქივის მუშაობის ორგანიზაცია: დაგეგმვა, ანგარიშგება, სამუშაოს ნორმირება – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, თავი II; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულება“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის ბრძანება №71).

**წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

1. აუცილებლად წარსადგენია:

ა) კანდიდატის განცხადება;'

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

დ) კანდიდატის მიერ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დამთავრების და შესაბამისი კვალიფიკაციის (სპეციალობის) მიღების დამადასტურებელი დადგენილი ფორმის დოკუმენტი;

ე) შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ნებაყოფლობითია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) სხვადასხვა სასწავლო კურსისა და ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) წინა სამუშაო ადგილიდან დახასიათებები და რეკომენდაციები;

გ) რაიონში საარქივო საქმის განვითარებისა და ადგილობრივი არქივის მუშაობის სრულყოფის შესახებ წინადადებები.

ზემოდასახელებული დოკუმენტების პირები წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნული არქივის ცენტრალურ აპარატში კანდიდატის მიერ პირადად, ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით 2010 წლის 20 მაისის ჩათვლით.

ზემოდასახელებული დოკუმენტების დედნებს კანდიდატი წარადგენს ვაკანსიაზე შესარჩევ ღონისძიებებზე გამოცხადებისას.

**საკონტაქტო მონაცემები:**

ეროვნული არქივის ცენტრალური აპარატის საფოსტო მისამართი: 0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1

ტელეფონი: (995 32) 37 28 01, 38-28-46, 37-49-25, 37-39-25, ფაქსი: 37-28-01, 37-28-02.

ელ. ფოსტა: hr@archives.gov.ge

**საკონტაქტო პირები:**

ეროვნული არქივის საკადრო სამსახურის თანამშრომელი ანტონ ვაჭარაძე. ტელ.: 38 28 46, მობ.: 895 90 87 11;

**ეროვნული არქივის ცენტრალური აპარატის ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების უფროსი მერი ბიწაძე. ტელ.: 37 49 25, მობ.: 895 36 40 60**

რაგბი

# მეტოქეები და კალენდარი გაირკვა



**წლეულს ივნისში რუმინეთი IRB-ის ერთა თასის გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი იასპარეზებს. უკვე გაირკვა კალენდარი:**

**11 ივნისი. ნამიბია — რუმინეთი, საქართველო — შოტლანდია A, არგენტინა A, — იტალია A.**

**15 ივნისი. საქართველო — იტალია A, შოტლანდია A — ნამიბია, არგენტინა A — რუმინეთი.**

**20 ივნისი. საქართველო — ნამიბია, რუმინეთი — იტალია A, არგენტინა — შოტლანდია A.**

გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი, რომელიც სამ შეხვედრაში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. მოგებისთვის გუნდს 4 ქულა დაერიცხება, ფრეზე — ორი, წაგებისთვის — ნული. ერთ მატჩში ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის გუნდებს პრემიალური ქულაც დაემატებათ.

ცურვა

# თბილისის მერიის თასზე



**საწყლოსნო კომპლექს „ტონუსში“ საქართველოს და სომხეთის 90-მდე მოცურავე შეიკრიბა. ცისფერ ბილიკებზე ისინი თბილისის მერიის თასის გათამაშებაში ეცილებოდნენ ერთმანეთს. სახეობების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ბრასი.** ეკა კაჭახიძე („ლაგუნა ვერე“) და ანდრანიკ არუთინიანი (სომხეთი); **ბატერფლაი.** დავით სიხარულიძე („ტონუსი“), **კომპლექსური ცურვა.** ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი“), **გულაღმა ცურვა.** ანაიდ ბარსეგიანი (სომხეთი) და გიგი მთვრალაშვილი (ამას წინათ მან სინგაპურში მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა), **თავისუფალი ყაიდა.** მონიკა ვასილიანი და მიქაელ პოღოსიანი (ორივე — სომხეთი).

სამბო

# მინსკში — ევროპის დასაპყრობად



**ბელარუსის დედაქალაქი მინსკი 14-15 მაისს სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:** უშანგი კუზანაშვილი (52), ავთანდილ ცინცაძე (57), ნესტორ ხერგიანი (62), ლევან ნახუცრიშვილი (68), ნიკოლოზ კუცია (82), დავით კარბელაშვილი (90), მირიან პავლიაშვილი (100), ვახტანგ ზოიძე (+100). ჩვენი გუნდი უკვე გაემგზავრა მინსკში და ჩემპიონატის დაწყებამდე იქვე საწვრთნელ შეკრებას გაივლის, საამისოდ გუნდი საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა, დანარჩენი ხარჯების თანხა კი სპორტის დეპარტამენტმა გაიღო.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# მასპინძლებმა ყველას აჯობეს



**მაისის მიწურულს სტარტს აიღებს „საქართველოს უნივერსიადა — 2010“. ახალგაზრდობის სპორტული ფორუმისთვის მონდომებით ემზადებიან ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტ „იბერიის“ ათლეტები (სპორტული ცენტრის ხელმძღვანელი მურმან ტყებუჩავა).**

მნიშვნელოვანი ასპარეზობის წინ გუნდების დასაკომპლექტებლად შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებები გამართეს, მინი-



ფეხბურთში კი უმაღლესი სასწავლებლის ღია ტურნირიც მოაწყვეს, რომელშიც სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლებიც მიიწვიეს. სულ რვა გუნდი შეიკრიბა. ისინი ორ ქვეჯგუფში გადაანაწილეს, სადაც წრიული ორთაბრძოლების შემდეგ ორ-ორი უძლიერესი მომდევნო ეტაპზე გავიდა. „ირაოს“ სტადიონზე (მთავარი მსაჯი ანატოლი მილჩენკო, მსაჯები — ბაკურ ნინუა და თემურ ხუჭუა) გამართულ ნახევარფინალებში ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტის „იბერია-3“-მა დაძაბულ პაექრობაში ეროვნული ფორუმის გუნდს 7:6 სძლია, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა „იბერია-1“-ს მოუგეს 8:3. გადამწყვეტ მატჩში „იბერია-3“-მა 6:5 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე მომავალი მედიკოსები, მესამეზე კი ეროვნული ფორუმის ფეხბურთელები გავიდნენ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეების პრიზები მერაბ კუტუბიძესა და არჩილ კოკოლაშვილს (ორივე — „იბერია-3“) გადაეცათ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; გამარჯვებული „იბერია“ ტურნირის ორგანიზატორებთან ერთად.**

## არდავიწყება



### გიორგი (ჟორა) თარგამაძე

გარდაიცვალა ქართული სპორტის ცნობილი მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი თარგამაძე. მთელი მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავის ქვეყანას და საყვარელ საქმეს. დიდია მისი წვლილი განსაკუთრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჭიდაო სკოლის წარმომადგენლების წარმატებებში, საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებში, ასევე, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი სპეციალისტის და საქვეყნოდ ცნობილი პრინციპების მატარებელი არბიტრისა.

სინათლის წყარო სინათლის ანთებაა, როდესაც ის იწვის, მაშინ ანათებს. გიორგი თარგამაძის სახელზე დანთებული ყოველი სანთელი ნათელი სხივია, რომელიც დიდხანს არ ჩაქრება და მარად უკვდავია.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია;
საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“.

* * *

გამოსვენება 8 მაისს, 14 სთ. ორთაჭალა, კრწანისის ქ. №16, კორპუსი №5, იაპონიის საელჩოს წინ.

ფეხბურთი

# ხმათა მაქსიმუმით



**ფეხბურთელთა აპრილის ტრადიციულ ნაკრებში, რომელსაც ევროპის სპორტულ გამოცემათა ასოციაცია (ESM) ადგენს, ხმათა მაქსიმუმით — 10 მოხვდნენ „ბარსელონას“ თავდამსხმელი მესი და „ბავარიის“ მოთამაშენი რობენი და ოლიჩი.**

მთლიანად კი ეს სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: ჟულიუ სეზარი („ინტერი“ — 7 ხმა), მაიკონი („ინტერი“ — 9), პიკე („ბარსელონა“ — 6), სამუელი („ინტერი“ — 4), ლამი („ბავარია“ — 4), ხავი („ბარსელონა“ — 6), ლამპარდი („ჩელსი“ — 6), სნეიდერი („ინტერი“ — 6), რობენი („ბავარია“ — 10), ოლიჩი („ბავარია“ — 10), მესი („ბარსელონა“ — 10).

ინტერნეტიდან

## მშენებლებს — 2 ბილეთი




**ალბათ ბევრ სამხრეთაფრიკელსაც კი (აღარაფერი რომ ვთქვათ უცხოელებზე) სანანებლად გაუხდება, თუ რატომ არ წავიდა ამ ქვეყანაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ობიექტების მშენებლობებზე — როგორც ცნობილი გახდა, მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტმა თავისებურად გამოხატა მადლობა 27 ათასი მშენებლისადმი, ვინც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტადიონების მშენებლობაზე მუშაობდა.** ყოველ მათგანს გადასცემენ 2 უფასო ბილეთს, ჩემპიონატის ფინალურ ტურნირის მატჩების იმ სტადიონებზე, რომელთა მშენებლობაში ისინი მონაწილეობდნენ.

## ანგარიში გათანაბრდა

**ბულგარეთის დედაქალაქში საჭადრაკო მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ვიში ანანდსა და ვესელინ ტოპალოვს შორის ერთობ დაძაბულად მიმდინარეობს.**

მეშვიდე პარტიაში ბულგარელმა დიდოსტატმა შავებით პირველივე სვლებით გაამწვავა თამაში. ინდოელი გამუდმებით თავს იცავდა. როგორც საჭადრაკო წრეებში მიაჩნიათ, „მადრასის ვეფხვის“ ორთაბრძოლა „სოფიელ გლადიატორთან“ ძალზე საინტერესოდ გრძელდება. მათ გაითამაშეს „კატალონური პარტია“.



აღსანიშნავია, რომ ტოპალოვმა 3 წუთში 20 სვლა გააკეთა და გამსვლელი პაიკიც შექმნა.

საბოლოოდ დიდოსტატები ყაიმზე შეთანხმდნენ.

მერვე პარტიაში ტოპალოვი უკვე თეთრებით თამაშობდა და გაიმარჯვა კიდევაც. ასე რომ, ანგარიში გათანაბრდა — 4:4.

## მხოლოდ შენ და მხოლოდ შენ!

**სწორედ ეს ქართული პოპულარული სიმღერა გაგვახსენდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ ბრიტანელი მომღერალი და ტელეწამყვანი, თანაც ჯერჯერობით ისევ „ჩელსის“ ფეხბურთელის ეშლი კოულის მეუღლე შერილ კოული შარშანდელივით ისევ აირჩიეს ჟურნალის FHM ვერსიით 100 ყველაზე სექსუალური ქალის წინამძღოლად, ახალი რეიტინგი ჩვეულებისამებრ ჟურნალის მკითხველთა გამოკითხვით შეადგინეს.**



ამ რეიტინგულ სიაში შარშანდელივითვე მეორე ადგილზეა ფილმის „ტრანსფორმერების“ ვარსკვლავი — მსახიობი მეგან ფოქსი. მესამე ადგილი კი მიაკუთვნეს მოდელ მარის მილერს, რომელიც ადრე ამ სექსუალური ლამაზმანების შორის არ ჩანდა.

სამაგიეროდ, მსოფლიოს სექსუალური ქალების სიაში მოხვდა მოდელი კილი ჰეიზელი (ფოტოზე), რომელიც, როგორც ამბობენ, ეშლი კოულის ახალი დაქალი გახდა. აქვე არიან რაგბისტის დენი ჩიპრიანის სატრფო კელი ბრუკი და კალათბურთელის მარკო იარიჩის ცოლი ადრიანა ლიმა.

**ხსოვნა**

# იაგორ მახარაძე



წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა დიდი დანაკლისი განიცადა ინსტიტუტის წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განყოფილების ინჟინრის იაგორ მახარაძის გარდაცვალების გამო. კიდევ ერთი კეთილშობილი, ჭეშმარიტი თბილისელი კაცი დააკლდა ქალაქს. სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა ირგვლივმყოფებზე. იყო ყველას ჭირისუფალი და გასაჭირში გვერდში მდგომი, განურჩევლად ყველას მიმართ ერთნაირი ყურადღებით სავსე. საქმისადმი ერთგულებით, თავმდაბლობით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეულ დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მის მშობლიურ კოლექტივში.

ბატონი იაგორი საშუალო სკოლის დამთავრებიდან (1965 წ.) დღემდე აქტიურ შრომით საქმიანობას ეწეოდა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში, პარალელურად სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მუდამ შემართული და დაუზარელი აქტიურად მონაწილეობდა შავი ზღვის და წყალსაცავების შელფური და სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგრადობის, ნაპირსამაგრი ნაგებობების მდგომარეობის შემსწავლელ საველე-სამეცნიერო კვლევებში, ბუნებრივ კვლევებში დაგროვილი მასალების კამერალურ გადამუშავებაში, აგრეთვე მონაწილეობდა როგორც საბიუჯეტო, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში. იყო 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი. დღემდე იყო ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის წევრი.

გამორჩეულად გულთბილი, ყურადღებიანი, დაუზარელი და კეთილმოყვარე — იგი შეუცვლელი თანამშრომელი იყო. უყვარდა ყველას, ვინც იცნობდა.

ყველა დამწუხრებულია ბატონი იაგორის გარდაცვალებით. მისი ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი ტკივილი, უსაზღვრო სინანული და ღრმა პატივისცემა დაუტოვა მის ოჯახს, მშობლიურ ინსტიტუტს, მეგობრებს. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული.

**წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი**

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განყოფილების ინჟინერი

**იაგორ მახარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 6, 7 V, 17 სთ. გამოსვენება 8 V, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, III მკ/რ, II კვ, II კორპ, მე-11 სართ., ბ.48.

**◎ გაითვალისწინეთ!**

# აქტიური პროცესები მაისში

**მინიმუმების დღეები გრაფიკით: 11, 18, 25 რიცხვებში შეიძლება ვიგრძნოთ სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დღეები.**

**დაძაბული დღეები 2010 წლის მაისში: 6 (06-09) 7 (10-12), 9 (06-22), 12 (15-17), 14 (05-08), 16 (14-19), 20 (12-15), 21 (06-09), 23 (03-07), 28 (03-06), 30 (07-11).**

**6 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, დაძაბული მთვარის ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია გაუწონასწორობლობა, სულიერი წინააღმდეგობის გამწვავება. სათუთია თვალები, ფეხები, სისხლძარღვები და ნერვული სისტემა. კარგია დაწყებული საქმის დამთავრება, მსუბუქი გასეირნება, ინტელექტუალური საქმიანობა.

**7 — მთვარის აპოგეა, მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შესაძლებელია ფსიქოპათური რეაქციები, დაბნეულობა და გაღიზიანება. არ არის გამორიცხული სისხლის, ნერვული სისტემის, ფეხის სისხლძარღვთა გამწვავება, მხედველობისა და სმენის დროებითი გაუარესება. ძალისხმევის მოკრებისა და კონცენტრაციისთვის რეკომენდებულია აქტიური წერტილების მასაჟი, წყლის პროცედურები. რელაქსაციისა და მოშვებულობისთვის საჭიროა გასეირნება სუფთა ჰაერზე, მზის ამოსვლისა და ჩასვლისთვის თვალყურის დევნება.

**9 — მთვარის მიერთება იუპიტერთან და ურანთან.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. გულუხვობა, რომანტიულობა, მაგრამ გაღიზიანებაც, გრძნობათა ცვალებადობა, თავისუფლების სურვილი. შესაძლებელია ფსიქოლოგიურ ნაკლოვანებათა გამწვავება, ღვიძლის ტკივილი, ტკივილები სისხლძარღვებში და ფეხის ვენებში, გასივება. რეკომენდებულია უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებზე, ყავაზე და ცხიმიან საჭმელებზე.

**12 — მთვარე-მერკურის შეერთება.** შესაძლებელია უყურადღებობა, დაბნეულობა, სიჯიუტე. არ არის გამორიცხული ყელისა და ცხვირის, ფილტვების, ბრონქების, ფარისებრი ჯირკვლების დაავადებანი, ნევროლოგიური ტკივილები ხელებსა და ზურგის ზედა ნაწილებში, ხელების ტრამვები. ეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და განსჯის უნარი, არ მიაქციოთ დიდი ყურადღება წვრილმანებს.

**14 — ახალი მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ემოციურობის (განსაკუთრებით მამაკაცებისთვის) გაზრდა, უყურადღებობა. მოსალოდნელია სასუნთქი გზების, ფილტვების, მხრების, სისხლძარღვების, ხელებისა და თითების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. უარი თქვით არარეალურ გეგმებზე, ამბიციებზე და ალკოჰოლზე. სასარგებლოა გამწმენდი და წყლის პროცედურები, სუნთქვის ვარჯიშები, სეირნობა.

**16 — მთვარე-ვენერის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები, დედამიწის ბრუნვის სიჩქარე მცირდება.** მოსალოდნელია განწყობილების ცვლილება, სირთულეები მოპირდაპირე სქესის ადამიანებთან ურთიერთობაში. შესაძლებელია ტკივილები ხელებში, საკვების გადამუშავების სისტემის მუშაობის დარღვევები, ჩნდება თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის ტკივილების ალბათობა. ერიდეთ გაციებას, სტრესულ სიტუაციებს, გაღიზიანებას ალკოჰოლის მიღებისგან, მძიმე და ცხიმიან საკვებს.



**20 — მთვარე-მარსის შეერთება.** მოსალოდნელია აფეთქებულობა, ხელმძღვანელობის სურვილი, ყურადღების ცენტრში ყოფნა. შესაძლებელია თავისა და გულის ტკივილები, უძილობა. მოერიდეთ ყველაფერს, რაც ტვირთავს გულ-სისხლძარღვთა სისტემას და ხერხემალს. სასარგებლოა ჰაერის აბაზანები, ფიზიკური ვარჯიში, სრულფასოვანი ძილი.

**21 — მთვარე გადადის ტყუპების ნიშანში, მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, შესაძლებელია ფსიქოსომატური დაავადებანი. ოსტეოქონდროზის გამწვავება. მგრძნობიარე ხდება ნერვული სისტემა, კუჭი, კუჭქვეშა ჯირკვალი და სისხლის მიმოქცევის სისტემა. სასარგებლოა სრულფასოვანი დასვენება, ინტელექტუალური მეცადინეობა.

**23 — მთვარე-სატურნის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები, დედამიწის ბრუნვის სიჩქარე იზრდება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არის საყრდენ-მოძრავი აპარატის დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია რაციონიდან ამოვილოთ ცხარე, მარილიანი და ცხიმიანი კერძები. იქონიეთ ურთიერთობა თანამოაზრეებთან, შეიქმენით ჰარმონიული გარემო, შეეცადეთ გაუგოთ მათ, ვინც თქვენს გვერდითაა.

**28 — სრული მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია გაღიზიანება, უყურადღებობა, დაბნეულობა. არ არის გამორიცხული ნერვული სისტემის, ღვიძლის დაავადებათა გამწვავება, ტკივილები წელის მიდამოებში. ნუ გადატვირთავთ ღვიძლს ცხიმიანი და ცხარე საკვებით, სტრესების დროს შეეცადეთ სიტუაციას შეხედოთ გარედან.

**30 — მთვარე-პლუტონის შეერთება, მცირდება დედამიწის ბრუნვის სიჩქარე.** შესაძლებელია ხერხემლისა და შარდსასქესო სფეროს დაავადებანი, ტკივილები ძვლებსა და სისხლძარღვებში. თუ იკისრებთ სერიოზულ ვალდებულებებს, გულდასმით გაითვალისწინეთ საკუთარი ძალები. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი მოძრაობა, ტანვარჯიში და სხვა მსგავსი პროცედურები.

**მზის ზედაპირზე გაჩნდა დიდი აქტიური მონაკვეთები. იწყება მზის აქტივობის 24-ე ციკლი, რომელიც თავის პიკს 2013 წელს მიაღწევს. იზრდება მზის მიერ გამოსხივებული რენტგენური სხივებისა და ელემენტარული ნაწილების ნაკადი. დედამიწის მაგნიტოსფერა ამას გამოეხმაურება მაგნიტური ქარიშხლებით, რაც გავლენას ახდენს ჩვენს სისხლძარღვებზე, განსაკუთრებით კაპილარებზე. რეკომენდებულია კონტროლქვეშ ვიქონიოთ გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ვიმკურნალოთ, მივიღოთ პროფილაქტიკური ზომები. უარი ვთქვათ ცხელი რეგიონების მონახულებაზე, ვიმყოფებოდეთ ჩრდილში, ვიყენებდეთ მზისგან დამცავ მალამოებს.**

**ხსოვნა**

# ბორის კვირკველია



ქართულ საზოგადოებას და გეოლოგიურ სკოლას გამოაკლდა თვალსაჩინო პიროვნება, დიდი ინტელიგენტი, ცნობილი მეცნიერი (მეცნიერებათა დოქტორი) და ორგანიზატორი ბორის (ბიჭიკო) კვირკველია.

ბატონი ბორის კვირკველია ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ერთ-ერთ ურთულეს - გეოლოგიურ სფეროში. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, თუმცა სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ომში და მთელი ომის პერიოდში იმყოფებოდა ბრძოლის წინა ხაზზე. ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა უნივერსიტეტს და მისი წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობას შეუდგა საკავშირო გეოლოგიის სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უწყებაში „სპეცგეოლოგიაში“, სადაც მან განვლო დამსახურებული გზა რიგითი ინჟინერ-გეოლოგიდან „სპეცგეოს“ უფროსის თანამდებობამდე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ბატონი ბორისი აქტიურად ჩაება უშუალოდ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და მისი რაციონალური გამოყენების საქმეში, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

ამ დროის მანძილზე ბორის კვირკველიამ ჩაატარა უმნიშვნელოვანესი გეოლოგიური სამუშაოები კავკასიის, შუა აზიის და დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე, რომელთა კვლევის ბაზაზე დაპროექტდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის ბაქო-სუფსის და თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენები. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ათეული მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფია, რომელთა შორის მეცნიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შავი ზღვის პრობლემებთან დაკავშირებული კვლევები. დღეისათვის საქართველოში მოღვაწე ინჟინერ-გეოლოგების უმეტესობა წარმოადგენენ ბორის კვირკველიას აღზრდილებს.

ბატონი ბორის კვირკველიას პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული გეოლოგის წოდება, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, მათ შორის ღირსების ორდენით.

ბატონი ბორისის განვლილი მეცნიერულ-პრაქტიკული და საზოგადო საქმიანობა ფერმკრთალდება მის პიროვნულ ღირსებებთან მიმართებაში. ის როგორც პიროვნება იყო არა მარტო უაღრესად განათლებული და მაღალი ზნეობის მატარებელი ინტელიგენტი, არამედ კეთილშობილებით აღსავსე, ყველას მიმართ ტოლერანტობის გამომხატველი, კარგი მეოჯახე, მეგობრობაში გამორჩეული და რაც მთავარია, სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული.

ასეთი ადამიანი დაკარგეს ოჯახმა, ახლობლებმა, მეგობრებმა, გეოლოგიურმა საზოგადოებამ და ქვეყანამ. ერთადერთი რაც დარჩა, ეს არის მისი კეთილი მოგონება და მარადიული ხსოვნა.

**საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება,**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების**
**სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო.**



მეუღლე ციცინო ქურასბედიანი, შვილები ნინო, ნანა, ნათია, ნატო, რძალი შორენა გასვიანი, სიძეები ვაჟა ყველაშვილი, ირაკლი ლეჟავა, შვილიშვილები გუგა, სალომე, ანასტასია, ლუკა, ელენე, სალომე, ძმა ზერო, ძმისწულები ლევანი, რევაზი ოჯახებით, ცოლისდა ქეთო, ცოლისძმა ნოდარ ქურასბედიანები, რძალი დოდო ონიანი, მძახლები ავთანდილ გასვიანი, აკაკი ლეჟავა, მზია ყველაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**როლანდ ლევანის ძე ბასილაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 V, 16 სთ. გამოსვენება 8 V, 14 სთ. დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალის ქ. №7.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კოლეგა და მეგობარი, ქვეყნის ერთ-ერთი უხუცესი და აღიარებული ჟურნალისტი, სოფლის მეურნეობის საუკეთესოდ მცოდნე

**როლანდ ლევანის ძე ბასილაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

შალვა ქურასბედიანი, მერი ჯინჭარაძე, ჩენა, ოლეგი, ლუიზა, ელზა, მანანა, მერი, მეგი, ზურიკო ქურასბედიანები, ბორისი, მიხო, მარეხი, მელიტა ლიპარტელიანები, ნანა ბედია, ავთო, ლევანი, სანდრო ონიანები, გოდერძი, ლიზი ზურაბიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**როლანდ ბასილაშვილის**

გარდაცვალებას.

---



ანზორ შონია, მეუღლე დიანა კვირტია, შვილები ქეთინო, ნანა და მედიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შონიების სიძე, ღირსეული მამულიშვილი

**ოთარ დიომიდეს ძე ბერიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთისა“ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმები, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი იურისტის, სამართალმცოდნეობის დიდი ქომაგის, ჩინებული მოქალაქის

**ოთარ ბერიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს.

---

გიორგი, გია, მედეა, ბადრი, ლევანი ნაჭყებიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ დიომიდეს ძე ბერიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სულიერება

# გიორგობა



**6 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს გიორგობას. წმინდა გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია.**

...საგულისხმოა, რომ ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში საქართველოს, წმინდა გიორგის სახელის მიხედვით, „გეორგიას“ ეძახიან. ჩვენთან ეკლესიების უმეტესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმინდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული.

ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო, რომელიც ნათესავი იყო წმინდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და მის მიერ მოქცეულ ქვეყანას – საქართველოს უანდერძა დიდმოწამე გიორგის სიყვარული...

მოგზაურთა გადმოცემით, თურმე წმინდა გიორგის ყოველ წელს სასწაულებრივად მოჰყავდა სამსხვერპლო ხარი თავისი სახელობის ილორის ტაძარში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „ღვთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისთვის ჩაბარდა წმინდა გიორგის. იგი საქართველოს მფარველი და სასოა, მისი ფარი და მახვილია... საგულისხმოა, რომ საქართველოს თორმეტი მეფე ატარებდა გიორგის სახელს.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

### 6 მაისი

**ხსენება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისა (303წ. წმიდა დედოფლისა ალექსანდრასი (303წ; მოწამეთა: ანატოლი და პროტოლეონისა (303წ.**



**ამოდის 04.52**
**ჩადის 19.04**



**ამოდის 00.58**
**ჩადის 01.34**

### დაიბადნენ:

**1756 – მაქსიმილიან რობესპიერი,** საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. გარდაიცვალა 1794 წელს.

**1856 – ზიგმუნდ ფროიდი,** ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1939 წელს.

**1861 – რაბინდრანათ თაგორი,** ინდოელი ფილოსოფოსი, პოეტი. გარდაიცვალა 1950 წელს.

**1904 – ჰარი ედმონდ მარტინსონი,** შვედი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1978 წელს.

**1907 – ილია ვეკუა,** ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1977 წელს.

**1932 – ჯუნა მიქატაძე,** მოქანდაკე. გარდაიცვალა 2005 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1859 – ალექსანდრ ფონ ჰუმბოლტი,** გერმანელი მკვლევარი, გეოგრაფი და მოგზაური.

**1862 – ჰენრი დევიდ ტორო,** ამერიკელი მწერალი.

**1949 – მორის მეტერლინკი,** ბელგიელი დრამატურგი.

### მოვლენები:

**1576** – საფრანგეთში დამთავრდა მეხუთე რელიგიური ომი. ჰუგენოტებმა უფლება მიიღეს, აღესრულებინათ წირვა ყველა ქალაქში პარიზის გარდა.

**1626** – ჰოლანდიელმა პეტერ მინუიტმა ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომისგან შეიძინა კუნძული მანჰეტენი 25 დოლარად ღირებული საქონლით.

**1910** – გეორგ V ავიდა დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტზე.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ეგვიპტე** – ბაირამი.
**ლიბანი, სირია** – მსხვერპლთა ხსოვნის დღე.
**აშშ** – მედდის დღე.

**მედიანიუსი**

## დაიჯესტი

### ეს რა უცნობი რამ ჩამოგიტანიათ, ბატონო!..



**ინგლისელი ვაჭარი ჰოვარდ ჰანვეი აზიაში ბევრს მოგზაურობდა და როცა 1750 წელს ჩინეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, ბევრ სხვა უცხო ნივთთან ერთად თან ქოლგაც ჩამოიტანა.** თავდაპირველად ეს ჩინური სიახლე მისტერ ჰანვეის თანამემამულეებს ძალზე ეუცხოვათ და, წარმოიდგინეთ, ზოგმა მას დასცინა კიდეც. მაგრამ ჰოვარდ ჰანვეი კერკეტა კაკალი გამოდგა და როცა ლონდონის წვიმაში ქოლგის ქვეშ მისი ტანსაცმელი მშრალი რჩებოდა, პრაქტიკული ბრიტანელები უმალვე გონს მოეგნენ და მას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა.

### მინსკი – ახალი ლას-ვეგასი?

**მოსკოვიდან კაზინოები გადააქვთ, მაგრამ არა საამისოდ ნებადართულ საგანგებო ზონებში, არამედ, როგორც ირკვევა, თავისუფალ ბელორუსიაში.** შარშან ივლისში, მინსკში პირველი ფეშენებელური სამორინე გახსნეს. ბელორუსიის დედაქალაქის მთავრობამ კი უკვე გამოაცხადა, რომ მინსკის ეროვნული აეროპორტის მახლობლად უზარმაზარი სათამაშო-გასართობი ცენტრის აშენებას აპირებს.



### ავიაგამანადგურებელი... კოლექციისთვის



**უკრაინამ ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთული წარმოების ორი СУ-27 ტიპის ავიაგამანადგურებელი მიყიდა.** თვითმფრინავები ამერიკაში სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით АН-124-ით ჩაიტანეს. უკრაინის მხარის განცხადებით, როგორც მათ ოფიციალურად აცნობეს, ავიაგამანადგურებლები პრივატული მიზნით „კერძო კოლექციებისთვის“ შეიძინეს და, მიუხედავად გავრცელებული ცნობისა, ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ქმედითუნარიანობის ამ თვითმფრინავებზე შემოწმებას არავინ აპირებს.

### „ბრილიანტის“ ღიმილი



**ფრანგმა კბილის ექიმმა ფრანსუა ლეფევრმა ერთ-ერთ წინა კბილზე... ბრილიანტის ინკრუსტირების სისტემა დააპატენტა.** 25-წუთიანი პროცედურა პაციენტისთვის აბსოლუტურად უმტკივნეულოა. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა პირველმა დანტისტის მეთოდით „ბრილიანტის ღიმილი“ თავის დროზე ლეგენდარული „როლინგ სთოუნზის“ ასევე ლეგენდარულმა მიკ ჯაგერმა „მოირგო“.

## განცხადება

**2010 წლის 27 მაისს, 12 საათზე გაიმართება სს „თავთუხის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №2.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების 2009 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების შესახებ;
2. აუდიტორის არჩევის შესახებ;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის შესახებ;
4. სხვადასხვა.

**აქციონერებს კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ აქციათა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №2, საკონტაქტო ტელ. 899-54-23-20.**

**სამეთვალყურეო საბჭო**

## განცხადება

**2010 წლის 27 მაისს, 15 საათზე, თბილისის №1 საჯარო სკოლის დარბაზში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:**

1. კოოპერატივის 2009 წლის საქმიანობის ანგარიშისა და წლიური ბალანსის დამტკიცების შესახებ;
2. კოოპერაციული უზნებისა და კოოპერატივის გამგეობის დადგენილებების დამტკიცების შესახებ;
3. განცხადებები.

**კოოპერატივის გამგეობა**

## განცხადება

**ვისაც კომფორტულ აგარაკზე ცხოვრება გიყვართ, დარეკეთ 899 16 93 57. აგარაკი სოფელ ტაბახმელაშია, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ნახვა. ფასი შეთანხმებით.**

## კადრი



## ანეკდოტები

– ქვირფასო, – ეუბნება ქალი საყვარელს, – მართლა არსებობენ ნამდვილი მამაკაცები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ, ესმით ქალებისა და არ ღალატობენ მათ, თუ ეს მითია?

– არა, ეს მითი არ არის, ეს ლამაზი ზღაპარია...



* * *

უპასუხო კითხვები:

რატომაა, რომ მენდელეევის ტაბულაში იოდი არის, „ზელიონკა“ კი არა?

* * *

რატომაა, რომ სიტყვა „ბიუსტჰალტერი“ მხოლობით რიცხვში იხმარება, „ტრუსები“ კი – მრავლობითში?

* * *

რატომაა, რომ მომავალი მამები ასე ხშირად იქცევიან ყოფილ შეყვარებულებად?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.